სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“

„APM Terminals Poti“-ს ტარიფები



„APM Terminals Poti-ის ტარიფები“ მოქმედებს 2026 წლის 1 იანვრიდან

ტარიფების სახელმძღვანელო

სარჩევი

ტარიფების სახელმძღვანელო 2

ზოგადი წესები და პირობები 4

1. ზოგადი ნაწილი 4

1.1. გამოყენებადობა 4

1.2. ტერმინთა განმარტებანი 4

1.3. ხელშეკრულების დადება; ცალკეული და ერთობლივი ვალდებულებები 8

1.4. მომსახურების განხორციელება 9

1.5. ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა (HSSE) 12

1.6. კანონთან შესაბამისობა 13

1.7. შეზღუდვა პასუხისმგებლობაზე 14

1.8. ინვოისის მიწოდება და გადახდა ყველა ტარიფთან მიმართებით 14

1.9. ინვოისის მიწოდება და გადახდა სანავსადგურო მოსაკრებელებსა და გადასახადებთან მიმართებით 14

1.10. ინვოისის მიწოდება და გადახდა ტვირთის გადამუშავების საფასურსა და ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების გადასახადთან მიმართებით 15

2. სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები 15

2.1. სანიტარული გადასახადი 15

2.2. სანავმისადგომო მოსაკრებელი 15

2.3. ნავმისადგომის დაკავება 15

2.4. ბუქსირება 16

2.5. ნავსადგურის მომსახურების კომპლექსური ტარიფი 16

2.6. გამონაკლისები 17

2.7. ფასდაკლებები 17

2.8. დანამატები 17

3. ტვირთის გადამუშავების ტარიფები 17

3.1. დანამატები 17

3.2. გამონაკლისები 18

4. სხვადასხვაგვარი ტარიფები 18

4.1. ავტომანქანის საშვის საფასური 18

4.2. პონტონის გამოყენების საფასური 18

4.3. გემის ნავმისადგომზე დადგომის შემდგომ კონტეინერების გადმოტვირთვის/ჩატვირთვის ნუსხის შეცვლა 19

5. ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების ტარიფი 19

5.1. ზოგადი ნაწილი 19

Classification: Public

5.2. დროის გამოთვლის წესი 19
5.3. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების აქტი 19
5.4. დანამატი 19
6. სხვა ზოგადი რეგულაციები 20
6.1. ფორს-მაჟორი 20
6.2. მოთხოვნისგან დაცვა 20
6.3. შეჩერება და გაუქმება 20
6.4. გემის გაყვანა 21
6.5. სატრანსპორტო საშუალების გაყვანა საბაჟო საწყობიდან 21
6.6. გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა 21
6.7. ერთი ან რამდენიმე პირობის ბათილობა 21
6.8. პირობებისა და ტარიფების ცვლილება 21
6.9. უპირატესი ენა 21
დანართი 1 – სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები 23
1.1. სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები 23
1.2. სანავსადგურო მომსახურების სპეციალური ტარიფები 24
1.3. ტარიფები ნაგავთან, წყალსა და ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებებისთვის 24
დანართი 2 - ტვირთის გადამუშავების ტარიფები 24
დანართი 3 - ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების ტარიფები 29
დანართი 4 - ბუქსირზიდვასა და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს სტანდარტული პირობები (შეცვლილი 1986 წელს) 31

Classification: Public

ზოგადი წესები და პირობები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. გამოყენებადობა

1.1.1. წინამდებარე „ზოგადი წესები და პირობები“ გამოიყენება APM Terminals Poti-ის მიერ გაწეულ „მომსახურებაზე“ (როგორც ეს განმარტებულია 1.2.62 მუხლში), აგრეთვე APM Terminals Poti-სთან დადებულ ყველა - ამჟამინდელ და მომავალ ხელშეკრულებასა და მიწოდებაზე, აგრეთვე APM Terminals Poti -ის მიერ „კლიენტისათვის“ გაკეთებულ ყველა შეთავაზებასა და კვოტირებაზე.

1.1.2. რაიმე ზეპირი შეთანხმება ან გარანტია ან რაიმე ცვლილება ან გადახვევა წინამდებარე „ზოგადი წესებისა და პირობებიდან“ მბოჭავ ძალას შეიძენს APM Terminals Poti-ს მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ APM Terminals Poti დაეთანხმება მათ წერილობით. იგივე წესი გავრცელდება ყველა სხვა შეთანხმებაზე, წერილობითი ფორმის დაცვის წინაპირობის გარეშე.

1.1.3. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის ცხადად და წერილობით არ არის შეთანხმებული, „კლიენტი“ (როგორც ეს განმარტებულია, 1.2.19 მუხლში) უარს ამბობს თავისი ოპერაციებისთვის თავისი წესებისა და პირობების გამოყენებაზე, ხოლო APM Terminals Poti, თავის მხრივ, ცხადად უარყოფს „კლიენტის“ ზოგადი წესებისა და პირობების გამოყენებას; იმ შემთხვევებში, თუ „კლიენტმა“ წარმოადგინა ზოგადი წესები და პირობები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე „ზოგად წესებსა და პირობებთან“, უპირატესი ძალა ექნება ამ უკანასკნელს.

1.1.4. რომელიმე მხარის შეუძლებლობა, მკაფიოდ მოითხოვოს წინამდებარე „ზოგადი წესებისა და პირობების“ რომელიმე დანაწესის შესრულება მეორე მხარისგან, არ მიიჩნევა აღნიშნულ შესრულებაზე პირველი მხარის მიერ უფლების დათმობად იმ მომენტში ან მომავალში, ან თითოეული მხარის შესაბამის ვალდებულებებზე უარის თქმად და ამდენად, შესაბამისი უფლებები და მოვალეობები შეინარჩუნებს მბოჭავ ძალას.

1.1.5. APM Terminals Poti-ს „მომსახურებებთან“ მიმართებით გამოსაყენებელ სამართალთან ან/და დავის გადაწყვეტის ფორუმთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას, რომელიც შეთანხმებული იქნება წერილობითი ფორმით APM Terminals Poti-სა და „კლიენტს“ შორის, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე „ზოგად წესებსა და პირობებთან“ მიმართებით.

1.2. ტერმინთა განმარტებანი

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც არაა განმარტებული ქვემოთ, განიმარტება „საქართველოს საზღვაო კოდექსსა“ და მოქმედ „ნავსადგურის წესებში“ მოცემული განმარტებების შესაბამისად.

წინამდებარე „ზოგადი პირობებისა და წესების“ მიზნებისთვის, თუ კონტექსტი ცალსახად სხვაგვარ ინტერპრეტაციას არ მოითხოვს, აქ გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობები:

1.2.1. **არახელსაყრელი ამინდის პირობები** – „ნავსადგურის წესებით“ განსაზღვრული შესაბამისი ამინდის პირობები, რომლის დროსაც ნავსადგური ვალდებულია, შეაჩეროს ან დახუროს ცალკეული ან ყველა სანავსადგურო ოპერაცია.

1.2.2. **აგენტი** - მხარე (სააგენტო კომპანია), რომელიც მოქმედებს გემთმფლობელის ან დამფრახტავის სახელით და მათი დავალებით და იხდის ნავსადგურის მიერ შესრულებული ყველა სახის მიღებული მომსახურების საფასურს.

1.2.3. **AIS** – „ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა“ - ავტომატური მეთვალყურეობის სისტემა, რომელიც იყენებს გადამცემებს გემებზე და რომელიც გამოიყენება გემების სატრანსპორტო სერვისების მიერ.

1.2.4. **All Fast** – დრო, როდესაც გემის ბაგირით მიბმა დასრულებულია და ყველა ბაგირი დაჭიმულია.

1.2.5. **APM Terminals Poti** - სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით: 215080999, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №38.

Classification: Public

1.2.6. **APM Terminals Poti-ის ტერიტორია -** ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სატვირთო ოპერაციებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და სახმელეთო ტერიტორია, „APM Terminals Poti-ის აკვატორია“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), რომელიც ეკუთვნის APM Terminals Poti-ს, მათ შორის და არა მხოლოდ, უპირატესი ძალის მქონე „ნავსადგურის წესების“ შესაბამისად განმარტებული AMP Terminals Poti-ს შესაბამისი ტერიტორია.

1.2.7. **APM Terminals Poti-ის აკვატორია** - ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე, APM Terminals Poti-ისთვის გამოყოფილი და კონტროლირებადი, საზღვაო აკვატორია როგორც ეს განმარტებულია „ნავსადგურის წესების“ შესაბამისად.

1.2.8. **ნავმისადგომი** - წყლის გასწვრივ ან სანაპიროს პერპენდიკულარულად არსებული ნაგებობა, სპეციალურად მოწყობილი სადგომი, სადაც გემები დგებიან „ტვირთის“ ჩატვირთვა/გადმოტვირთვისას და სხვა მიზნებისათვის.

1.2.9. **სანავმისადგომო მოსაკრებლები** - ნავმისადგომის გამოყენებისთვის დადგენილი მოსაკრებლები.

1.2.10. **დიდი ტომარა** - ინდუსტრიული კონტეინერ-ჩანთა, რომელიც დამზადებულია ელასტიური ნაჭრისგან და განსაზღვრულია მშრალი, ფხვნადი ტვირთის, ისეთი როგორიცაა ნაყარი ტვირთი, შესანახად და გადასაზიდად.

1.2.11. **ლიალური წყალი** - გემის წყალქვეშა ნაწილში დაგროვილი სითხის ნაზავი. ეს ნაზავი შესაძლოა იყოს მტკნარი წყლის, ზღვის წყლის, ნავთობის, ქიმიური და სხვა თხევადი ნივთიერებების შენარევი, რომელიც ილექება გემის ტრიუმში.

1.2.12. **გენერალური ტვირთი** - დაკომპლექტებული, მაგრამ არა კონტეინიზირებული ტვირთი, რომელიც საცალოდაა გადატვირთული, მათ შორის და არა მხოლოდ ჩანთები, შეკვრები, კასრები, ყუთები, მუყაოს ყუთები, ცილინდრული ყუთები, პალეტები, ტომრები, ავტომობილები.

1.2.13. **მშრალი ნაყარი ტვირთი** - ფხვიერი, არა კონტეინიზირებული ტვირთი, რომელიც ჩატვირთულია გემის ტრიუმში.

1.2.14. **ნაყარი ტვირთის გადამზიდავი გემი** - გემი, რომელიც როგორც წესი, აშენებულია ერთი გემბანით, წინა ავზით და გვერდითა სატვირთო ბარჟით სატვირთო ადგილებზე და განკუთვნილია ნაყარი ტვირთის გადასაზიდად.

1.2.15. **მანქანათა გადამზიდავი გემი (რორო ტიპის ბორანი)** - გემი, რომელიც განკუთვნილია და გამოიყენება მანქანების, ფურგონების, სატვირთო ავტომობილების და/ან ბორბლებიანი/მუხლუხოებიანი ტვირთის გადასაზიდად.

1.2.16. **ტვირთი** - ყველა სახის საქონელი და შესაფუთი მასალა, კონტეინერები, სატვირთოები და თვითმცურავი სატვირთო სათავსოები, „ნაყარი ტვირთი“, „გენერალური ტვირთი“, ჩატვირთული და გადმოტვირთული, ბუქსირებული ან გადაზიდული გემის მიერ და გამოხატული „მ.ტ.“-ში „ფ.ტ.“-ში, გარდა მგზავრების პირადი ხელბარგისა, იმ შემთხვევაში თუ იმავე გემით მოგზაურ მგზავრებს ეკუთვნის ეს ხელბარგი, ასევე, გარდა ბალასტის, საწვავის, მარაგი ნაწილების, პროდუქტებისა და სხვა საჭიროებებისა, რომელიც განკუთვნილია გემის ექსპლუატაციისათვის.

1.2.17. **ტვირთის მფლობელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია „ტვირთზე“ საკუთრების უფლება.

1.2.18. **სატვირთო გემი** - გემი, რომელიც განკუთვნილია ტვირთის გადასაზიდად.

1.2.19. **კლიენტი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს APM Terminals Poti-ის მომსახურებებით და/ან აქტივებით „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გემის საშუალებით სარგებლობს APM Terminals Poti-ის მიერ გაწეული/შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურებით და რომელიც APM Terminals Poti-ისგან იღებს ნებისმიერ მომსახურებას, მათ შორის და არა მხოლოდ „კაპიტანი“, „ფორვარდერი“, გემთმფლობელი, გემით მოსარგებლე ნებისმიერი პირი, „აგენტი“, „ტვირთმფლობელი“ და ნებისმიერი მხარე, რომელიც როგორც აღნიშნული პირების წარმომადგენელი განახორციელებს ნებისმიერ ქმედებას APM Terminals Poti-ის მიმართ ან/და შეისყიდის მომსახურებას, ან ნებისმიერი პირი, რომელსაც APM Terminals Poti-თან აქვს მისი „მომსახურებების“ მომხმარებლის ურთიერთობა.

Classification: Public

1.2.20. **კონსიგნატორი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ზედნადების მიხედვით განსაზღვრულია როგორც ტვირთის მიმღები.

1.2.21. **კონტეინერი -** ნებისმიერი საერთაშორისო ან ინტერმოდალური კონტეინერი, სავსე ან ცარიელი, რომელიც შექმნილია ყველა შესაბამისი "ISO" სტანდარტის შესაბამისად, გემების დატვირთვის პროცესში გამოსაყენებლად.

1.2.22. **საკონტეინერო გემი** - გემი, რომელიც განკუთვნილია და გამოიყენება ექსკლუზიურად კონტეინერთა გადასაზიდად მისი კონსტრუქციისა და აღჭურვილობის გათვალისწინებით.

1.2.23. **სტრიპინგი** - „ტვირთის" დაცლა სატრანსპორტო საშუალებიდან, როგორიცაა კონტეინერი, ვაგონი, სატვირთო.

1.2.24. **სტაფინგი** - „ტვირთის" ჩატვირთვა სატრანსპორტო საშუალებაში, როგორიცაა კონტეინერი, ვაგონი, სატვირთო.

1.2.25. **გადატვირთვის ოპერაცია** - ტვირთის სტრიპინგი და სტაფინგი ერთი სატრანსპორტო ერთეულიდან, როგორიცაა კონტეინერი, ვაგონი, სატვირთო - მეორეში.

1.2.26. **CY** – APM Terminals Poti-ის საკონტეინერო ეზო.

1.2.27. **დღე** – კალენდარული დღე.

1.2.28. **წყალშიგი -** საპროექტო / ქარხნული მონაცემების მიხედვით კილის მაქსიმალური სიღრმე გემის სრული დატვირთვის პირობებში.

1.2.29. **ცარიელი** - დაცლილი კონტეინერი, დაცლილი ვაგონი.

1.2.30. **ფ.ტ.** – 1 ფრახტი ტონა = 1 მეტრული ტონა ან 1 კუბური მეტრი. „ფ.ტ." გამოიანგარიშება ტვირთის წონის ან მოცულობის მიხედვით, ფრახტის საფასური განისაზღვრება ამ ორი მახასიათებლიდან (წონა, მოცულობა) იმის მიხედვით, რომელიც უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონეა.

1.2.31. **სავსე** - დატვირთული კონტეინერი, დატვირთული ვაგონი.

1.2.32. **ფორს მაჟორი** - გააჩნია 6.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

1.2.33. **ფორვარდერი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ასრულებს „ტვირთის" ტრანსპორტირებისთვის აუცილებელ მოქმედებებს „კლიენტის" დავალებით.

1.2.34. **ცვლის მოცდენის საფასური** - საფასური, რომელიც გადაიხდება მომხმარებლის მიერ APM Terminals Poti-ის დაყოვნებისათვის ან მისი მოქმედებების განხორციელების ხელშეშლისთვის.

1.2.35. **საქონელი** - სრული ან გარკვეული ნაწილი ნებისმიერი ტვირთისა, რომლის ტრანსპორტირებაც განხორციელდა ან განხორციელდება კონტეინერში ან არაკონტეინერიზებული ტვირთის სახით.

1.2.36. **GT** – გემის საერთო(ბრუტო) ტონაჟი, რომელიც ასახავს გემის სრულ ზომას, ხომალდების ტონაჟის გაზომვის შესახებ 1969 წლის საერთაშორისო კონვენციის, და მისი შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად.

1.2.37. **ნავსადგურის კაპიტანი** - ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსი, რომელიც საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში ახორციელებს ნაოსნობის უსაფრთხოების სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, კანონით მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

1.2.38. **საათი** - 60 წუთი ან ნაკლები დრო, არასრული საათი.

1.2.39. **IMDG – „**სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის კოდექსი", ან საქონელი, რომელიც მოქცეული აღნიშნული კოდექსის რეგულირების ქვეშ.

1.2.40. **საბოლოო ხაზი** - ნავმისადგომზე მიბმის მოსახსნელად ბოლო ბაგირის ხაზის მოხსნის დრო.

1.2.41. **LOA** - გემის მთლიანი სიგრძე, გემის ცხვირსა და კიჩოს შორის.

Classification: Public

1.2.42. **კაპიტანი** - პირი, რომელსაც გააჩნია გემზე განკარგულების გაცემის უფლება, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს გემთმფლობელსა და ტვირთმფლობელს ყველა გარიგებაში, რომელიც დაკავშირებულია გემთან, ტვირთთან ან ნაოსნობასთან, აგრეთვე მისთვის მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხის მოგვარებისას.

1.2.43. **სამხედრო ტვირთი** - სამხედრო ტვირთი მოიცავს ყველა სახმელეთო/საზღვაო/საჰაერო საბრძოლო დანიშნულების ტვირთს, სატრანსპორტო, სამგზავრო ან დამხმარე სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია ან გამოიყენება სამხედრო ძალების მიერ. ტერმინი გამოიყენება, მიუხედავად იარაღის არსებობის ან ტვირთის გამოყენების შეტევითი/თავდასხმითი ხასიათისა.

1.2.44. **მობილური ამწე** - ზოგადი დანიშნულების ამწე, რომელსაც შეუძლია თავისი ბორბლებით გადაადგილდეს ნავსადგურის ერთი ნაწილიდან მეორეში.

1.2.45. **მობილური ნავმისადგომის ამწე** - მობილური ამწე, რომელიც ზოგადად მოთავსებულია წყლის ნაპირთან და გამოიყენება „ტვირთის“ გემიდან მიწაზე გადმოსატვირთად და პირიქით.

1.2.46. **გემის მიბმა** - გემის დამაგრება ნაპირთან თოკების მეშვეობით.

1.2.47. **მ.ტ.** - მეტრული ტონა (1000 კგ მასა).

1.2.48. **OOG** - არაგაბარიტული ტვირთი, რომელიც აჭარბებს კონტეინერის შიდა გაბარიტებს სიგრძეში, სიგანეში ან სიმაღლეში.

1.2.49. **პალეტი** - ბრტყელი დაფა (კარკასი), ძირითადად დამზადებული ხისგან, იშვითად ფოლადისგან ან სხვა მასალისგან, რომელზეც შესაძლოა განთავსდეს „ტვირთი“ ან საქონელი.

1.2.50. **მხარე** - „კლიენტი“ ან APM Terminals Poti.

1.2.51. **მხარეები** - „კლიენტი“ და APM Terminals Poti.

1.2.52. **პონტონი** - ბრტყელძირიანი ლითონის მცურავი ერთეული, რომელიც გამოიყენება მცურავი ბაქნის საყრდენად.

1.2.53. **ნავსადგურის ადმინისტრირების საფასური** - ნავსადგურის ადმინისტრირების საფასური, რომელიც გადაიხდება თითოეულ კონტეინერზე, რომელიც გაივლის „APM Terminals Poti-ის ტერიტორიას“ მოსაკრებელი ერიცხება თითოეულ საზღვაო ხაზს ინდივიდუალურად.

1.2.54. **სანავსადგურე გადასახადი** - APM Terminals Poti-ის მიერ გემებზე დაკისრებული გადასახადი APM Terminals Poti-ის მიერ გაწეული მომსახურებებისთვის.

1.2.55. **სანავსადგურე მოსაკრებელი** - APM Terminals Poti-ის მიერ გემებზე დაკისრებული მოსაკრებელი ნავსადგურის ძირითადი და საზღვაო ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის, „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ ყოველ შესვლაზე გემის საერთო ტონაჟის გათვალისწინებით.

1.2.56. **ნავსადგურის წესები** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 25 ივლისის N24 ბრძანებით დამტკიცებული ნავსადგურის წესები, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებებით.

1.2.57. **ფოთის საზღვაო ნავსადგური** - ფოთის საზღვაო ნავსადგური, როგორც ეს მოქმედი „ნავსადგურის წესებითაა“ განმარტებული.

1.2.58. **წინასწარი კვოტირება** - „კლიენტისთვის“ წინასწარ შეთავაზებული ფასი, რომელიც დაანგარიშდება კლიენტის მიერ წარმოდგენილი პირველადი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს „კლიენტის“ მიერ მოწოდებულ საპროექტო სპეციფიკაციებთან თეორიულ შესაბამისობას.

1.2.59. **უქმე დღეები** - საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცხადებული ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უქმე დღეები.

1.2.60. **სარკინიგზო ბორანი** - გემი, რომელიც აშენებულია ან ადაპტირებულია პირველადად იმ მიზნით, რომ გადაზიდოს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები თავისი სატვირთო სივრცით.

1.2.61. **როტეინერი** - სტანდარტული ISO კონტეინერი, რომლის დაცლისთვის ხდება მისი ამობრუნება სტანდარტულ ამწეზე დამაგრებული სპეციალური სპრედერის მეშვეობით.

Classification: Public

1.2.62. **მომსახურებები** - ნებისმიერი და ყველა მომსახურება, რომელიც შეთავაზებულია/გამოქვეყნებულია/გაწეულია APM Terminals Poti-ის მიერ საქართველოში, და/ან APM Terminals Poti-ის ინფრასტრუქტურის და/ან „APM Terminals Poti-ის ტერიტორიის“ გამოყენებით.

1.2.63. **ჩამდინარე წყლები** - კანალიზაცია ან სხვა ჩამდინარე წყლები ნებისმიერი საპირფარეშოდან ან პისუარიდან ჩამდინარე.

1.2.64. **გემის გადაადგილება** - გემის გადაყვანა ერთი „ნავმისადგომიდან“ მეორეზე.

1.2.65. **SOLAS** - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია“ და მისი სახელმძღვანელო მითითებები, დროდადრო შეტანილი განახლებებით და ცვლილებებით.

1.2.66. **სტანდარტული საოპერაციო პროცედურები** - სტანდარტული საოპერაციო პროცედურები, რომლებიც შედგენილია APM Terminals Poti-ის მიერ „APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“ ოპერირებასთან დაკავშირებით, დროდადრო შეტანილი განახლებებით და ცვლილებებით.

1.2.67. **სპრედერი** - მოწყობილობა, რომელიც შექმნილია კონტეინერების ასაწევად კონტეინერების კუთხეებში მოთავსებული სამაგრების მეშვეობით.

1.2.68. **მონაცემებისა და დეტალების განაცხადი** - გემის დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო სპეციფიკაციას, „სანავსადგურე გადასახადებისა“ და „სანავსადგურე მოსაკრებლების“ განსაზღვრისათვის (მათ შორის, საერთაშორისო ტონაჟის სერტიფიკატი და გემის მახასიათებლები GT).

1.2.69. **ტანკერი** - გემი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა გადაზიდოს თხევადი ტვირთი მისი სატვირთო მოცულობის საშუალებით.

1.2.70. **ტარიფები** - გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც მოცემულია N1, 2 და 3 დანართებში.

1.2.71. **ბუქსირზიდვა** - მომსახურება ბუქსირებით, რომლებიც გემებს ნავსადგურებში მანევრირებაში ეხმარება.

1.2.72. **გემის ჩახსნა** - თოკების ჩახსნა, რითაც გემი დამაგრებულია სანაპიროსთან.

1.2.73. **დღგ** - დამატებითი ღირებულების გადასახადი.

1.2.74. **სატრანსპორტო საშუალების შემცველი კონტეინერი** - კონტეინერი, რომელიც დატვირთულია სატრანსპორტო საშუალებით, სტრიპინგის მიზნებისთვის.

1.3. ხელშეკრულების დადება; ცალკეული და ერთობლივი ვალდებულებები

1.3.1. წინამდებარე „ზოგადი წესები და პირობები“ APM Terminals Poti -სა და „კლიენტს“ შორის არსებულ მბოჭავ შეთანხმებად განიხილება, როდესაც:

(i) „კლიენტი“ წერილობით ადასტურებს, რომ მისთვის მისაღებია ზოგადი წესები და პირობები; და/ან

(ii) APM Terminals Poti-მ ცალსახად წერილობით ადასტურებს „კლიენტისგან“ ნებისმიერი „მომსახურების“ შეკვეთის ან დავალების მიღებას; და/ან

(iii) „კლიენტი“ პირდაპირ თხოვს APM Terminals Poti -ს და/ან ავალებს APM Terminals Poti -ს, რომ ამ უკანასკნელს მიაწოდოს „მომსახურება“; და/ან

(iv) „კლიენტი“ წინამდებარე „ზოგადი წესებისა და პირობების“ 1.9.5 მუხლის შესაბამისად წარადგენს „მონაცემებისა და დეტალების განაცხადს“; და/ან

(v) იმ მომენტიდან, როდესაც „კლიენტი“ იწყებს APM Terminals Poti -ის „მომსახურების“ გამოყენებას; და/ან

(vi) იმ მომენტიდან, როდესაც „კლიენტი“ ფაქტობრივად იყენებს ნავმისადგომსა და ნავსადგურის სხვა საშუალებებს „APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“;

Classification: Public

(vii) APM Terminals Poti და „კლიენტი“ დებენ მომსახურების ხელშეკრულებას APM Terminals Poti -ის მომსახურებასთან დაკავშირებით

1.3.2. სხვადასხვა პირები, რომლებიც წინამდებარე „ზოგადი წესებისა და პირობების“ 1.2.19 მუხლში დასახელებულნი არიან, როგორც „კლიენტები“, ერთობლივად და ცალ-ცალკე აგებენ პასუხს APM Terminals Poti -ს მიმართ არსებულ „კლიენტის“ ვალდებულებებზე.

1.3.3. სხვა მომსახურების მიწოდება, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე „ზოგადი წესებითა და პირობებით“, მხარეთა შორის შემდგომი შეთანხმების საგანია.

1.4. მომსახურების განხორციელება

APM Terminals Poti-ს უფლებები და ვალდებულებები

1.4.1 APM Terminals Poti უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურებები წინამდებარე საკუთარი შეხედულებისამებრ „ზოგადი წესებისა და პირობების“ შესაბამისად;

1.4.2 APM Terminals Poti არ მიიღებს და არ დაუშვებს ისეთი კომერციული გარიგებებისა თუ ქმედებების განხორცილებას, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევრო კავშირის ან საქართველოს მთავრობის ეროვნული სანქციების საგანს.

1.4.3 APM Terminals Poti ეცდება „მომსახურება“ განახორციელოს პრაქტიკის, მეთოდების და ქმედებების იმგვარი პასუხისმგებლობის, გონივრულობის, და წინდახედულობის გამოყენებით, რომელსაც იდენტურ ან ანალოგიურ პირობებში გამოიჩენდა კვალიფიციური და გამოცდილი ოპერატორი, რომელიც ჩართულია იდენტური ტიპის საქმიანობაში.

1.4.4 თუკი ფაქტობრივი მოცემულობა მოითხოვს, APM Terminals Poti საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია, „მომსახურების“ განხორციელებისას გამოიყენოს შეთანხმებულისგან განსხვავებული საშუალებები ან ჩართოს მესამე პირები, იმ პირობით რომ აღნიშნულით არ მოხდება საერთო ჯამში გაწეული „მომსახურების“ ხარისხის შემცირება;

1.4.5 „კლიენტი“ წინამდებარით ადასტურებს, რომ 1.4.4. მუხლში განსაზღვრულმა შემთხვევებმა, აგრეთვე გაუთვალისწინებელმა შემთხვევებმა (მათ შორის და არა მხოლოდ თავისუფალ ნავმისადგომთა არარსებობამ), შესაძლოა, გავლენა იქონიოს შეთანხმებულ ან მოსალოდნელ დროზე, რა დროშიც „მომსახურება“ უნდა გაწეულიყო.

კლიენტის უფლებები და ვალდებულებები

1.4.6 **„კლიენტი“ ვალდებულია:**

1.4.6.1 დროულად და სრულად უზრუნველყოს APM Terminals Poti ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მომსახურებებისა და ანგარიშსწორების განსახორციელებლად და ყოველმხრივ ითანამშრომლოს, მათ შორის და არა მხოლოდ, წერილობით აცნობოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს იმ პირების სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონები და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ სამსახურებთან სადღეღამისო კავშირის დამყარებაზე და უზრუნველყოს APM Terminals Poti -სთან სამუშაო პროცესის დროს უწყვეტი კავშირი;

1.4.6.2 უზრუნველყოს „ნავსადგურის წესებით“, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და APM Terminals Poti-ს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება „APM Terminals Poti-ის ტერიტორიის“ დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით;

1.4.6.3 საჭირო აღჭურვილობისა და ტვირთის დამუშავების მეთოდების განსაზღვრის მიზნით, მსხვილ გაბარიტიანი და მძიმე წონიანი „ტვირთის“ გადაზიდვის შემთხვევაში, დამატებით აცნობოს APM Terminals Poti-ს „ტვირთის“ დატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნიკური თანმიმდევრობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ, და მიაწოდოს „ტვირთის“ საერთო ხედი, მასა, გაბარიტული მახასიათებლები, სატრანსპორტო ნახაზები, მასის ცენტრისა და დაჯამბარების ადგილის ჩვენებით. თუ „ტვირთის“ დაცვისა და უსაფრთხოდ გადატვირთვის სამუშაოები მოითხოვს სპეციალური ჩარჩოების, ტრავერსების, ჯამბარების,

Classification: Public

სატაკელაჟო კავების, სპეციალური ქვესადგომების, კილბლოკების და სხვა საშუალებების გამოყენებას, იმ შემთხვევაში, თუ APM Terminals Poti-ს არ გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, მისი მოწოდება უნდა უზრუნველყოს „კლიენტმა“. მოწოდებული აღჭურვილობა უნდა იყოს უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი და სათანადოდ უნდა იყოს დამოწმებული სერტიფიცირების აღიარებული ორგანოს მიერ;

1.4.6.4 აწარმოოს ნავსადგურში IMDG „საქონლის“ შემოტანა მხოლოდ APM Terminals Poti-ს გენერალური დირექტორისადმი ყოველ გემის პარტიაზე წერილობითი მომართვისა და APM Terminals Poti-ის ნებართვის მიღების შემდგომ;

1.4.6.5 უზრუნველყოს, რომ ნავსადგურში სამომავლო დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის შემოტანილი სავსე კონტეინერები დალუქული იყოს მაღალი უსაფრთხოების ლუქებით;

1.4.6.6 თუ სსიპ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო უწყების მიერ მოხდება APM Terminals Poti-ს დაჯარიმება ან რაიმე მოქმედების შესრულების დაკისრება, მათ შორის და არამხოლოდ, შემდეგ შემთხვევებში:

(i) გემიდან დატვირთული „ტვირთის“ გადმოტვირთვის და საბაჟო საწყობში განთავსების დროს, თუ „ტვირთს“ არ გააჩნია მაღალი უსაფრთხოების ლუქი და ასევე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი მაღალი ხარისხის ლუქის დადება ადგილზე, მათი შემდგომი გადაადგილებისას CY-ში; ან/და

(ii) „APM Terminals Poti-ის ტერიტორიის“ დატოვების შემდეგ კონტეინერზე აწყვეტილი ან დაზიანებული ლუქის აღმოჩენის შემთხვევაში; ან/და

(iii) „საქართველოს საზღვაო კოდექსის“ ან/და მოქმედი „ნავსადგურის წესების“ ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, რომელი დარღვევაც გამოწვეულია ან არის „კლიენტის“, მისი თანამშრომლის, აგენტის, ქვეკონტრაქტორის ქმედების, უმოქმედობის ან გაუფრთხილებლობის ბრალი.

მაშინ „კლიენტს“ სრულად დაეკისრება APM Terminals Poti-სთვის მიყენებული ზიანის, დაკისრებული ჯარიმის, სანქციის, ან/და ასეთი დარღვევით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურება.

1.4.7 **„კლიენტი“, როგორც „ფორვარდერი“, აგრეთვე ვალდებულია:**

1.4.7.1 სისტემატიურად მიაწოდოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს ინფორმაცია მოსალოდნელი „ტვირთის“ სახეობისა და მოცულობის შესახებ;

1.4.7.2 წინასწარ შეათანხმოს APM Terminals Poti-ს საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთან მსხვილ გაბარიტიანი, მძიმეწონიანი და საშიში ტვირთების სავარაუდო გადაზიდვისა და გადამუშავების შესახებ;

1.4.7.3 აცნობოს APM Terminals Poti-ს, იმ თანამშრომელთა ვინაობა (სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონების მითითებით), რომლებსაც გააჩნიათ სახიფათო ტვირთების გადაზიდვის სფეროში შესაბამისი სერტიფიკატი და წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.4.7.4 პასუხი აგოს „ფორვარდერის“ წარმომადგენლების მიერ „APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“ დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში;

1.4.7.5 ფოთის საზღვაო ნავსადგურში გემის შემოსვლამდე სულ მცირე 24 საათით ადრე, უზრუნველყოს APM Terminals Poti გემისა და ტვირთის შესახებ ყველა საჭირო დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, მათ შორის და არა მხოლოდ, სატვირთო სამუშაოების განრიგით, ტვირთის მანიფესტებით, გადმოტვირთვა/ჩატვირთვის სიებით, ტვირთის განთავსების გეგმით, გემის სერთიფიკატებით.

Classification: Public

1.4.7.6 გემის შემოსვლამდე 12 საათით ადრე, დაუდასტუროს APM Terminals Poti-ს საჭირო სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობა;

1.4.7.7 იმ შემთხვევაში თუ ტვირთის რადიაციული გამოსხივება აჭარბებს დასაშვებ სტანდარტს, ან თუ ადგილი აქვს რაიმე ტვირთის დაქცევას/ემისიას კონტეინერიდან ან სხვა სატრანსპორტო საშუალებიდან , „ფორვარდერი“ ვალდებულია, APM Terminals Poti -ს მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული გარემოებით დაზიანებული ერთეულების დაუყოვნებლივ გაყვანა “APM Terminals Poti-ის ტერიტორიიდან“;

1.4.7.8 უზრუნველყოს, რომ ნომინირებულ იქნეს „ტვირთის“ შესაბამისი ტიპის გემები;

1.4.7.9 უზრუნველყოს ყველა სატვირთო და სატრანსპორტო საბუთების შეუფერხებელი გაფორმება;

1.4.7.10 მიაწოდოს დროულად და გამართულ მდგომარეობაში სათანადო ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალება;

1.4.7.11 „რორო ტიპის ბორნის“ ან/და „სარკინიგზო ბორნის“ დამუშავების შემთხვევაში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, დროულად უზრუნველყოს გემიდან გადმოტვირთულ ტვირთებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო პროცედურების განხორციელება.

1.4.7.12 „ტვირთის“ დამუშავების პროცესში და „ტვირთის“ დამუშავების პროცესის დასრულების შემდეგ, უზრუნველყოს, რომ „ნავმისადგომი“ იყოს სუფთა მდგომარეობაში და ყველა „ტვირთის“ ნარჩენი, დაქცეული დანაკარგი, „ტვირთის“ შესაფუთი ან სხვა მასთან დაკავშირებული მასალა გატანილი იყოს „APM Terminals Poti-ის ტერიტორიიდან“.

1.4.8 **„კლიენტი“, როგორც „აგენტი“/საზღვაო ხაზი, აგრეთვე ვალდებულია:**

1.4.8.1 მიაწოდოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს განაცხადი გემის მოსვლაზე APM Terminals Poti-ის მიერ დადგენილი ფორმით, „ნავსადგურის წესების“ შესაბამისად.

1.4.8.2 კონტეინერმზიდი გემის მომსახურების შემთხვევაში მიაწოდოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს თვეში ორჯერ (თვის მეორე და მეოთხე კვირის სამშაბათ დღეს) გემის მოსვლის გრაფიკი, რომლის შემდგომაც APM Terminals Poti-ის მიერ აგენტს მიეწოდება შესაბამისად თვის მეორე ნახევრის და მომდევნო თვის პირველი ნახევრის გემების მომსახურების გრაფიკი.

1.4.8.3 კონტეინერმზიდი გემის მომსახურების შემთხვევაში მიაწოდოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს სამი კვირის წინასწარი პროგნოზი APM Terminals Poti-ში შემომავალი კონტეინერების ჯამური რაოდენობისა და APM Terminals Poti-ის საკონტეინერო ეზოში გახსნა/დაცლისთვის განკუთვნილი კონტეინერების ჯამური რაოდენობის მითითებით.

1.4.8.4 RO-RO და სარკინიგზო-სატვირთო ტიპის გემების მომსახურების შემთხვევაში მიაწოდოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს APM Terminals Poti-ისთან წინასწარ შეთანხმებული თვის გამის მოსვლის გრაფიკი თვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

1.4.8.5 „APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“ გემის შემოსვლამდე სულ მცირე 24 საათით ადრე და APM Terminals Poti-ის მიერ გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად, უზრუნველყოს APM Terminals Poti გემისა და ტვირთის შესახებ ყველა საჭირო დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, მათ შორის და არა მხოლოდ, სატვირთო სამუშაოების განრიგით, ტვირთის მანიფესტებით, გადმოტვირთვა/ჩატვირთვის სიებით, ტვირთის განთავსების გეგმით, გემის სერთიფიკატებით.

იმ შემთხვევებში, როდესაც „კლიენტისთვის“ ნავმისადგომზე დადგომა შეუძლებელია „APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“ მისი შემოსვლიდან 48 საათზე მეტი ხნით, APM Terminals Poti-ი „კლიენტს“ განუსაზღვრავს დამატებით 12 საათს („APM Terminals Poti-ის

Classification: Public

ტერიტორიაზე“ მისი შემოსვლიდან) პირველადი გადმოტვირთვა/ჩატვირთვის სიის ცვლილებისათვის. მოცემული პერიოდის (12 საათის) განმავლობაში, „კლიენტს“ უფლება ექნება, შეცვალოს პირველადი გადმოტვირთვა/ჩატვირთვის სიის არა უმეტეს 30%-ისა.

1.4.8.6 APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე გემის შემოსვლამდე 24 საათით ადრე მიაწოდოს APM Terminals Poti-ის საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს ISPS Code-ის უსაფრთხოების სერთიფიკატი.

1.4.8.7 გემთმფლობელის ან ტვირთმფლობელის მიზეზით „ნავმისადგომის“ მოცდენის შემთხვევაში APM Terminals Poti-ის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გემის გადაადგილება ან რეიდზე გაყვანა.

1.4.8.8 იმ შემთხვევაში თუ ტვირთის რადიაციული გამოსხივება/ემისია აჭარბებს დასაშვებ სტანდარტს, APM Terminals Poti-ს მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული გარემოებით დაზიანებული ერთეულების რეიდზე გაყვანა.

1.4.9 **პასუხისმგებლობა „კლიენტის“ მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში**:

1.4.9.1 „კლიენტის“ მიერ ზემოხსენებულ 1.4.9.5 პუნქტში მითითებული ინფორმაციის სრულყოფილად და დადგენილ დროში, გემის შემოსვლამდე სულ მცირე 24 საათით ადრე წარმოუდგენლობის შემთხვევაში, APM Terminals Poti უფლებამოსილია“

(i) დააკისროს ჯარიმა 1000 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარში ოდენობით; ან/და

(ii) მისი დისკრეციის ფარგლებში, უარი თქვას/დააყოვნოს გემის ნავმისადგომთან დაყენება ან/და კონტეინერების დატვირთვა.

1.4.9.2 „APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“ შემოსულ გემებს, რომლებსაც 1.4.8.5 მუხლში მოცემული ვადების დაცვით აქვთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, უპირატესობა მიენიჭებათ იმ გემებთან მიმართებით, რომელთაც აღნიშნული ვალდებულება არ აქვთ შესრულებული.

1.4.9.3 APM Terminals Poti არ იქნება პასუხისმგებელი დაყოვნებაზე, მოცდენაზე, ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს „კლიენტს“ გემის ნავმისადგომთან დაყენებაზე უარის თქმის/დაყოვნების გამო, რაც განპირობებულია ინფორმაციის სრულყოფილად ან/და დროულად წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობით.

1.4.9.4 ნებისმიერ შემთხვევაში, თუ „კლიენტი“ დროულად და ჯეროვნად ვერ შეასრულებს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მის ვალდებულებებს, ან გააჩნია APM Terminals Poti-ს მიმართ ვადაგადაცილებული დავალიანება, APM Terminals Poti უფლებამოსილია, „მომსახურების“ მიწოდება შეწყვიტოს ან შეაჩეროს „კლიენტის“ მიერ ვალდებულებათა შესრულებამდე, ან/და შესაბამისი პირობების და საფუძვლების არსებობისას, არ მისცეს „კლიენტს“ „APM Terminals Poti-ს ტერიტორიიდან“ „ტვირთის“ გატანაზე თანხმობა ან დააკავოს „ტვირთი, „კლიენტის“ მიერ ვალდებულების შესრულებამდე / დავალიანების სრულად დაფარვამდე.

1.5. ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა (HSSE)

1.5.1 მხარეები ვალდებული არიან იმოქმედონ ისე, რომ უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლების ადეკვატური დაცვა გამოსაყენებელი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის, წესების და რეგულაციების (მათ შორის HSSE რეგულაციების) ისევე, როგორც SOLAS-ის და მისი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

1.5.2 „კლიენტი“ თანხმდება, რომ შესაბამისობაში იყოს APM Terminal Poti -ის მიერ რაიმე ინციდენტის შედეგად სპეციალურად შემუშავებულ უსაფრთხოების წესებთან. „კლიენტი“ თანხმდება, რომ მისი თანამშრომლები, აგენტები და წარმომადგენლები დაიცავენ „სპეციალურ საოპერაციო პროცედურებს“, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომი გახდება APM Terminal Poti-ის მხრიდან.

1.5.3 „კლიენტი“ ვალდებულია, უზრუნველყოს APM Terminal Poti -ის ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დაცვა მათ შორის „კლიენტის“ წარმომადგენლების ეკიპირება APM Terminal Poti -ის მიერ დადგენილი შიდა უსაფრთხოების სტანდარტის და არსებული კანონმდებლობით

Classification: Public

გათვალისწინებული შესაბამისი ეკიპირებით, მათ შორის ამრეკლი ტანსაცმლით, ჩაფხუტით და ფეხსაცმლით.

1.5.4 „კლიენტი“ დააზღვევს, დაიცავს APM Terminals Poti-სა და მის დირექტორებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, აქციონერებს და აფილირებულ პირებს ყველა პრეტენზიისგან, მოთხოვნის, ქმედების, სარჩელის, ზიანის, ვალდებულების, ზარალის, ანგარიშსწორების, გადაწყვეტილებისა და ხარჯებისგან (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ადვოკატის საფასურისა და ხარჯებისგან, გონივრულობის ფარგლებში) განურჩევლად იმისა, აღნიშნული მოიცავს თუ არა მესამე მხარის ისეთ მოთხოვნას, რომელიც წარმოშობილი ან დაკავშირებულია მისი რომელიმე თანამშრომლის, აგენტისა და წარმომადგენლის რაიმე ქმედებასთან ან HSSE რეგულაციებთან შეუსაბამობასთან.

1.6. კანონთან შესაბამისობა

1.6.1 „კლიენტი“, რომელიც ადასტურებს APM Terminal Poti-ის „მომსახურების“ მიღების სურვილს, ასევე პირობას გასცემს და ვალდებულებას იღებს, რომ, ის, ასევე, მასთან დაკავშირებული პირები, დირექტორები, ოფიცრები ან ქვეკონტრაქტორები იმოქმედებენ მოქმედი კანონების, წესების, რეგულაციების შესაბამისად, მათ შორის, ანტი-კორუფციის, კონკურენციის წესებისა და საგარეო ვაჭრობის კონტროლის (გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ს ან სხვა შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებული ექსპორტის კონტროლი და სანქციები) წესების სრული დაცვით, მათ შორის და არამხოლოდ აშშ-ს უცხოური კორუფციული ქმედებების შესახებ აქტისა და გაერთიანებული სამეფოს ქრთამის შესახებ აქტის შესაბამისად; “კლიენტი“ ასევე პატივს სცემს და დაიცავს APM Terminal Poti-ის ჯგუფის პოლიტიკას ანტიკორუფციის, კონკურენციის წესებისა და საგარეო ვაჭრობის კონტროლთან დაკავშირებით.

განმარტებისათვის:

(i) უკანონო მიზნებისთვის ან ბიზნესის არასწორად მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით, არცერთი მხარე არ გასცემს და არ დაპირდება ნებისმიერ მესამე პირს რაიმეს ფასეულს, ასევე, არცერთი მხარე არ ეცდება, გასცეს ან დაადასტუროს რაიმე ფასეულის მესამე პირისათვის გადაცემა;

(ii) არცერთი მხარე არ იქონიებს საქმიან ურთიერთობას ან არ აიძულებს მეორე მხარეს, ამა თუ იმ შეთანხმებებთან დაკავშირებით იქონიოს საქმიანი ურთიერთობა იმგვარ ტრანზაქციებზე რომელიმე სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, რომლებიც იკრძალება საგარეო ვაჭრობის კონტროლის წესებით, გარდა მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევისა; ან რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მეორე მხარის რეპუტაციასა და კომერციულ ინტერესებს, მაშინაც კი, თუ აღნიშნული არ არღვევს საგარეო ვაჭრობის კონტროლის წესებს;

(iii) არც ერთმა მხარემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა გარიგებაში ან აიძულოს მეორე მხარე ხელი შეუწყოს საგარეო ვაჭრობის კონტროლით აკრძალული საქონელთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს, გარდა მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობისა; ან რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მეორე მხარის კომერციულ ან სხვა რეპუტაციულ ინტერესებს, იმ შემთხვევაშიც თუ არ არღვევს საგარეო ვაჭრობის კონტროლის წესებს;

(iv) იმ შემთხვევაში, თუ „კლიენტი“, რომელიც მოქმედებს როგორც „აგენტი“, მოახდენს გემის ნომინირებას, „კლიენტი“ ვალდებულებას იღებს, რომ არც ერთი ამგვარი, ნომინირებული გემი, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც ფლობს საკუთრების უფლებას ამგვარ გემზე ან ახორციელებს მის ოპერირებას, არ დაარღვევენ ექსპორტის კონტროლის აკრძალვებს და შესაბამისობაში იქნებიან სანქციათა შესახებ კანონმდებლობასთან (გაეროს, ევროკავშირის, აშშ-სა თუ სხვა შესაბამის მარეგულირებელთა) და „კლიენტი“ თანხმდება, რომ შესაბამის მხარეს წინამდებარე მოთხოვნებს სახელშეკრულებო დონეზე გაუწერს .

Classification: Public

1.6.2 APM Terminal Poti უფლებამოსილია, შეწყვიტოს "მომსახურების" გაწევა დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ "კლიენტი" დაარღვევს 1.6.1 მუხლით გათვალისწინებულ პირობას.

1.7. შეზღუდვა პასუხისმგებლობაზე

1.7.1 APM Terminal Poti პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, ან დანაკარგზე, რომელიც მიადგა APM Terminals Poti-ის მფლობელობაში ან მისი კონტროლის ქვეშ არსებულ „კლიენტის" ტვირთს ან სხვა აღჭურვილობას APM Terminal Poti -ის გაუფრთხილებელი ან განზრახი ქმედებით.

1.7.2 APM Terminal Poti არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ზიანზე, რომელიც გამოწვეულია:

(i) ატმოსფერული ნალექებით (სეტყვა, თოვლი, წვიმა) წყალდიდობით ან/და სხვა ბუნებრივი მოვლენებით.

(ii) ტვირთის არასწორი ჩატვირთვით ან/და დამაგრებით;

(iii) ტრანზიტის დროს დაზიანებით;

(iv) „კლიენტის" წარმომადგენლებისა და/ან თანამშრომლების ქმედებით.

1.8. ინვოისის მიწოდება და გადახდა ყველა ტარიფთან მიმართებით

1.8.1 ყველა ტარიფი გადაიხდება წინასწარი გადახდის მეთოდით, APM Terminals Poti -ს მიერ გაცემული ინვოისის შესაბამისად, APM Terminals Poti -ს მიერ „მომსახურების" მიწოდებამდე, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული მხარეებს შორის წერილობით.

1.8.2 APM Terminals Poti-სა და „კლიენტს" შორის დავის არსებობა არ ათავისუფლებს „კლიენტს" გადახდის ვალდებულებისაგან.

1.8.3 წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი ყველა ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარით დღგ-ს გარეშე, თუ სხვაგვარად ცხადად არ არის განსაზღვრული. დღგ-ს გადახდის ვალდებულება ეკისრება „კლიენტს" დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

1.8.4 ყველა გადასახადი გადაიხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. ინვოისში ვალუტის გაცვლის გამოსაყენებელი კურსი განისაზღვრება გაწეული „მომსახურებების" თარიღის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

1.9. ინვოისის მიწოდება და გადახდა სანავსადგურო მოსაკრებელებსა და გადასახადებთან მიმართებით

1.9.1 „სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები" ეფუძნება გემის საერთო (ბრუტო) ტონაჟს (GT). კარჭაპი (ბარჟა)-ბუქსირის შემადგენლობის ქარავნებისა თუ სხვა მცურავი ობიექტების შემადგენლობათა მთლიანი ტონაჟობა განისაზღვრება, როგორც ცალკეული ელემენტების ჯამი.

1.9.2 სატონაჟო მოსაკრებელი და არხის მოსაკრებელი და სანიტარული გადასახადი გადაიხდება აგენტის მიერ ერთჯერადად, რეისიდან, რომლითაც გემი შემოვიდა "APM Terminals Poti-ის აკვატორიაში".

1.9.3 გემის შიდა რეიდზე გაყვანის და შიდა რეიდიდან შემოყვანის შემთხვევაში, ტარიფი დააანგარიშდება წინამდებარე დოკუმენტის N1 დანართის 1.1.4 (სავოჩმანო გადასახადი), 1.1.5 (გემის მიბმა/მოხსნის გადასახადი), 1.1.6. (ბუქსირების გადასახადი) და 1.1.7 (სანავმისადგომო მოსაკრებელი) ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.9.4 გემის ერთი ნავმისადგომიდან მეორეზე გადაყვანის შემთხვევაში, გადასახადი დაიანგარიშება წინამდებარე დოკუმენტის N1 დანართის 1.1.10 (გემის გადაადგილების გადასახადი) და 1.1.7 (სანავმისადგომო მოსაკრებელი) ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.9.5 გემის ნავსადგურში შემოსვლის გაფორმების შემდეგ, „კლიენტი" ვალდებულია, APM Terminals Poti-ს მიაწოდოს „მონაცემებისა და დეტალების განაცხადი", რაც მოიცავს სანავსადგურო მოსაკრებლებისა და გადასახადების დაანგარიშებისათვის საჭირო სრულ ინფორმაციას.

Classification: Public

1.9.6 APM Terminals Poti ვალდებულია, „სანავსადგურო მოსაკრებლებისა და გადასახადების“ შესახებ ინვოისი მიაწოდოს „კლიენტს“ დაუყოვნებლივ გემის ნავსადგურში შემოსვლის გაფორმებისა და „კლიენტის“ მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისთანავე.

1.9.7 „კლიენტი“ ვალდებულია, APM Terminals Poti -ს გადაუხადოს „სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები“ ინვოისში მითითებული გადარიცხვის ინსტრუქციების შესაბამისად.

1.9.8 ინვოისი გადაიხდება ინვოისის მიღების შემდეგ გემის „APM Terminals Poti -ის ტერიტორიიდან“ გასვლამდე, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული მხარეებს შორის წერილობით.

1.10. ინვოისის მიწოდება და გადახდა ტვირთის გადამუშავების საფასურსა და ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების გადასახადთან მიმართებით

1.10.1 „კლიენტი“ ვალდებულია, გადაუხადოს APM Terminals Poti-ს ტვირთის გადამუშავების საფასური და ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების გადასახადი ტვირთის გადამუშავების ოპერაციების დაწყებამდე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან წერილობით; წინასწარი გადახდა სრულდება APM Terminals Poti ს მიერ „კლიენტისათვის“ მიწოდებული „წინასწარი კვოტირების“ საფუძველზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან წერილობით;

1.10.2 მომსახურების მიწოდების დასრულების შემდეგ, „ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან“ ტვირთის გაშვებამდე, „კლიენტი“ ვალდებულია, საბოლოო ანგარიშსწორების მიზნებისთვის იხელმძღვანელოს APM Terminals Poti -ის მიერ წარდგენილი „წინასწარი კვოტირებისა“ და უშუალოდ, „მომსახურებისთვის“ გაწეული ხარჯების ნაშთით, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან წერილობით.

1.10.3 დაუშვებელია ტვირთის გადამუშავების საფასურის გადახდის დაგვიანება ინვოისიდან რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით „კლიენტის“ პრეტენზიის არსებობის მიზეზით; დავის ამგვარი ინიცირება არ გაათავისუფლებს „კლიენტს“ ინვოისის გადახდის ვალდებულებისაგან.

2. სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები

ა) თუ „კლიენტი“ გემის საშუალებით იყენებს „მომსახურებას“, ვალდებულია, APM Terminals Poti-ს გადაუხადოს „სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები“.

2.1. სანიტარული გადასახადი

2.1.1 ნარჩენები, რომლებზეც ვრცელდება სანიტარული გადასახადი, მოიცავს გემის ნებისმიერ ნარჩენს გარდა ტვირთის ნარჩენებისა, მათ შორის: ლიალურ და ფეკალურ წყლებს, მშრალ ნაგავს;

2.1.2 გემის „კაპიტანი“ ან „აგენტი“ ვალდებულია გემის ნარჩენების შესახებ შეტყობინება მიაწოდოს APM Terminals Poti-სგემის ნავსადგურში შესვლამდე 48 საათით ადრე ან წინა ნავსადგურის დატოვებისთანავე თუ ნავსადგურებს შორის ნაოსნობის ხანგრძლივობა 48 საათზე ნაკლებია.

2.2. სანავმისადგომო მოსაკრებელი

2.2.1 დრო, რომელიც გამოიყენება „სანავმისადგომო მოსაკრებლის“ განსაზღვრის მიზნებისთვის, აითვლება All Fast-დან და მთავრდება ““საბოლო ხაზით“.

2.2.2 საკონტეინერო გემებისთვის „სანავმისადგომო მოსაკრებელი“ დაითვლება საათობრივად. სხვა ტიპის ხომალდებისთვის - ხომალდის GT-ზე დაყრდნობით.

2.2.3 „სანავმისადგომო მოსაკრებელი“ არასატვირთო ოპერაციებისთვის დაითვლება ყველა ტიპის ხომალდებისთვის ხომალდის GT-ზე და არასატვირთო ოპერაციებისათვის ხომალდის მიერ ნავმისადგომის დაკავების დროზე დაყრდნობით.

2.3. ნავმისადგომის დაკავება

2.3.1 ნავმისადგომის დაკავების ათვლა იწყება დამუშავების ოპერაციების დასრულებიდან და გრძელდება „საბოლოო ხაზამდე“;

2.3.2 ნავმისადგომის დაკავებისთვის გათვალისწინებული გადასახადი გადაიხდევინება ყველა გემის მიერ, შესაბამის დროზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გემისთვის არაა

Classification: Public

ნებადართული, დატოვოს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ და აღნიშნული განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

(i) „არახელსაყრელი ამინდის პირობები“, ან

(ii) გემებისთვის სიგრძით 180 მეტრზე და/ან წყალშიგით 9,0 მეტრზე მეტი , რომლებიც მზად არიან ნავსადგურის დასატოვებლად, არ აქვთ ნებართვა დატოვონ ნავსადგური დღის არანათელი პერიოდში.

2.3.3 საკონტეინერო გემებს ნავმისადგომის მოსაკრებელი არ დაერიცხებათ „არახელსაყრელი ამინდის პირობების“ დადგომის გამო ოპერაციების შეჩერების გამო ნავმისადგომის დაკავებისათვის.

2.3.4 „არახელსაყრელი ამინდის პირობების“ დასრულების შემდეგ, გემებზე ვრცელდება ნავმისადგომის დაკავებისათვის შემდეგი თავისუფალი დროები:

2.3.4.1 პირველი გემისათვის, ნავსადგურის კაპიტნის მიერ გემის შემოყვან-გაყვანის ოპერაციების წარმოებაზე ნებართვის გაცემიდან - 3,5 საათი;

2.3.4.2 ყოველი მომდევნო გემისათვის, წინა გემზე ნავსადგურიდან გასვლის გაფორმების დასრულებიდან - 2 საათი.

2.4. ბუქსირება

2.4.1 ნებისმიერი ბუქსირების მომსახურება რეგულირდება ბუქსირზიდვისა და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს სტანდარტული პირობებისა (შეცვლილი 1986 წელს) (იხილეთ დანართი 4) და ნავსადგურის წესების შესაბამისად.

2.4.2 დანართი 1-ის 1.1.6. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის განსაზღვრული ტარიფები ფარავს „ნავსადგურის წესებით“ გათვალისწინებული ბუქსირების ოდენობის საფასურს (გემის LOA-ის გათვალისწინებით).

2.4.3 „ნავსადგურის წესებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, იმ შემთხვევაში, როდესაც ლოცმანი საჭიროდ ჩათვლის აღნიშნულს, ლოცმანს ექნება სრული დისკრეცია, დაამატოს დამატებითი ბუქსირი შესაბამისი ბუქსირების მომსახურების გასაწევად.

2.4.4 იმ შემთხვევებში, როდესაც დამატებითი ბუქსირის გამოყენება მოთხოვნილია ლოცმანის მიერ, აღნიშნულზე გავრცელდება N1 დანართის 1.1.6.1 პუნქტით გათვალისწინებული ტარიფები.

2.5. ნავსადგურის მომსახურების კომპლექსური ტარიფი

2.5.1 APM Terminals Poti-ში შემავალი ყველა თევზსაჭერი გემი ვალდებულია, აღჭურვილი იყოს AIS-ით (ყოველთვის ჩართულ მდგომარეობაში). ყველა თევზსაჭერი გემი ვალდებულია, შეატყობინოს „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ ყოველი შემოსვლისა და გასვლის შესახებ. კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

2.5.2 თევზსაჭერი და თევზის გადამზიდავი გემები ‘’APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე’’ შესვლისას იხდიან ნავსადგურის მომსახურების კომპლექსურ ტარიფს.

2.5.3 გადახდის პერიოდად უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი ხომალდებისთვის განისაზღვრება პერიოდი ნავსადგურში გემის შესვლიდან, ნავსადგურიდან მისი გასვლის რეგისტრაციამდე.

2.5.4 “APM Terminals Poti-ის ტერიტორიაზე“ შემოსული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემები გადაიხდიან N1 დანართის 1.2.1.2 ან 1.2.1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თვიურ ტარიფს, განურჩევლად თვეში შემოსვლების საერთო ოდენობისა. „კლიენტს“ უფლება აქვს კალენდარული წლის დასაწყისში აირჩიოს N1 დანართის 1.2.1.2 ან 1.2.1.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტარიფებიდან ერთ-ერთი. არჩეული ტარიფის ცვლილება მიმდინარე წლის განმავლობაში დაუშვებელია.

2.5.5 იმ შემთხვევაში, როდესაც “კლიენტი“ მოითხოვს დამატებით სანიტარულ მომსახურებას, შესაბამისი „კლიენტის“ მიერ გადასახდელი საფასური განისაზღვრება N1 დანართის 1.3. პუნქტით გათვალისწინებული ტარიფების შესაბამისად.

Classification: Public

2.6. გამონაკლისები

2.6.1 სანავსადგურო მოსაკრებლების გადახდისაგან თავისუფლდებიან გემები, რომლებიც შედიან „APM Terminals Poti-ის აკვატორიაში“ „არახელსაყრელი ამინდის პირობების“ გამო/

2.6.2 შესასვლელი არხის გამოყენებისთვის, „არხის მოსაკრებლის“ გადახდისაგან თავისუფლდებიან გემები, რომელთა წყალშიგი (ქარხნული / საპროექტო მონაცემების მიხედვით) 1.90 მეტრზე ნაკლებია.

2.7. ფასდაკლებები

2.7.1 გემები, რომლებიც ბორტი-ბორტთან დგანან ნავმისადგომთან მდგომ სხვა გემებთან, სარგებლობენ „ნავმისადგომის მოსაკრებელზე“ 50%-იანი ფასდაკლებით;

2.8. დანამატები

2.8.1 გემის მიბმისა და/ან ჩახსნის, ბუქსირზიდვისა და სალოცმანო კატარღით მომსახურების „უქმე დღეებში“ განხორციელების შემთხვევაში სატარიფო განაკვეთზე ვრცელდება 50%-იანი დანამატი.

3. ტვირთის გადამუშავების ტარიფები

a. თუ „კლიენტი“ იყენებს „APM Terminals Poti-ის ტერიტორიას“ ან სარგებლობს APM Terminals Poti-ს სხვა მომსახურებით, „კლიენტი“ ვალდებულია APM Terminals Poti-ს გადაუხადოს ტვირთის გადამუშავების საფასური N2 დანართში მოცემული ტარიფების შესაბამისად.

b. როდესაც ოპერაციული კომპლექსურობა საჭიროებს დამატებით დროს, ეკიპირებას და/ან ზედამხედველობას ადამიანური რესურსის ხარჯზე, APM Terminals Poti უფლებამოსილი იქნება, N2 დანართის 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გამოიყენოს კონკრეტული საფასური საკუთარი შეხედულებისამებრ, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

c. N2 დანართის 2.3.2. პუნქტით განსაზღვრული გადატვირთვის ოპერაციის ტარიფი შეადგენს მინიმუმ 150 აშშ დოლარს 1 კონტეინერზე (გარდა მანქანიანი კონტეინერებისა) /ვაგონზე/სატვირთოზე.

d. N2 დანართის 2.3.1 პუნქტით განსაზღვრული ტარიფი ვრცელდება საკონტეინერო ეზოში სტრიპინგის მიზნით განთავსებული იმ კონტეინერებზე, რომლებსაც სტატუსი ეცვლებათ საკონტეინერო ეზოში დგომის პერიოდში. ასეთ შემთხვევაში, „კლიენტი“ გადაიხდის ყველა იმ კონტეინერის აწევის/დაწევის საფასურს, რომლის აწევის/დაწევის საჭიროებაც წარმოიქმნება ზემოთ მიმოხილული, კონტეინერის სტატუსის ცვლილების გამო.

e. N2 დანართის 2.3.2.6 პუნქტით განსაზღვრული ტარიფი ვრცელდება ასევე არაგაბარიტული კონტეინერის სტაფინგზეც, განურჩევლად იმისა ტვირთი არის თუ არა არაგაბარიტული.

f. კონტეინერებისა და/ან სატვირთოების გარდა, სხვა სატრანსპორტო ერთეულებს შორის „ტვირთის გადატვირთვისას“, მათ შორის და არამხოლოდ ვაგონებს შორის გადატვირთვის დროს, ტარიფები განისაზღვრება მოცემული სერვისების მიწოდებისას.

g. „ნავსადგურის ადმინისტრირების საფასური“ ვრცელდება N2 დანართის 2.1.7.1. და 2.1.7.2.1.-2.1.7.2.11 ქვეპუნქტებში განსაზღვრულ „მომსახურებებზე“.

h. N2 დანართის 2..1.6 2.1.6.2. პუნქტით გათვალისწინებული ნაყარი ტვირთის დამუშავების მომსახურების ტარიფი განისაზღვრება შეთანხმების შესაბამისად (POA). შესაბამისი ტარიფი მხარეებს შორის უნდა შეთანხმდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წერილობითი ფორმით მომსახურების დაწყებამდე. ტარიფის განსაზღვრისას APM Terminals Poti-მა შესაძლებელია მხედველობაში მიიღოს, მათ შორის და არამხოლოდ, შემდეგი ფაქტორები: „ტვირთის“ მოცულობა და სახეობა, საოპერაციო მოთხოვნები, პროდუქტიულობის მაჩვენებლები, და ეფექტურობის სტანდარტები.

3.1. დანამატები

3.1.1 ტვირთის გადამუშავების ტარიფებზე ვრცელდება შემდეგი სახის დანამატები:

Classification: Public

(i) „უქმე დღეებზე“ სატვირთო ოპერაციების წარმოებაზე (გარდა საკონტეინერო/საბორნე გემებისა) – 25%;

(ii) არაპირდაპირ დატვირთვაზე (გარდა N2 დანართის 2.1.3 და 2.1.4 ქვეპუნქტებისა და კონტეინერების გადამუშავებისა) - 50%;

(iii) N2 დანართის 2.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ტვირთის“ ნავსადგურის ძალებით დამუშავებაზე - 50%;

(iv) დაწყვილებული ამწეების მეშვეობით სატვირთო ოპერაციების წარმოებაზე (გარდა ტვირთისა, რომლის დამუშავების ტარიფიც დაიანგარიშება ტვირთის მოცულობის მიხედვით, ასევე გემის ამწეების გადამუშავებისას) - 100%;

(v) სამხედრო ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვასა ან შენახვაზე – 100%;

(vi) ბორბლებიან ან მუხლუხებიან ტექნიკაზე, რომელიც საჭიროებს ნავმისადგომის დასაცავად აღჭურვას დაზიანებისგან დასაცავად – 100%;

(vii) კონტეინერის ჩატვირთვა/გადმოტვირთვაზე არასტანდარტული სპრედერის გამოყენებით– 50%;

3.1.2 სხვა ნებისმიერი სახის ტვირთის გადამუშავებაზე დანამატები, რაც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ტარიფებით, შესაძლოა დამატებით განისაზღვროს APM Terminals Poti-ს მიერ.

3.1.3 კონტეინერების სტანდარტული ტვირთსატაცით ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, ისეთ გემებზე, რომელთაც არ გააჩნიათ მიმმართველები, გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის N2 დანართი ს 2.1.7 ქვეპუნქტით (კონტეინერების გადმოტვირთვა/ჩატვირთვა) გათვალისწინებული გაორმაგებული ტარიფები.

3.2. გამონაკლისები

3.2.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებებით დატვირთულ კონტეინერებზე არ ირიცხება საკონტეინერო ტერიტორიაზე შენახვის ტარიფი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სპეციალური მოთხოვნა ტვირთის მიმღებისგან, რომ არ მოხდეს ტვირთის სტრიპინგი. „კლიენტს“, რომელიც დააყენებს ამგვარ მოთხოვნას, გამოეწერება შესაბამისი ინვოისი შენახვისთვის.

3.2.2 დაუშვებელია სტრიპინგის დღეს სატრანსპორტო საშუალების გაყვანა საკონტეინერო ტერიტორიიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ეს არის შეთანხმებული წერილობით მხარეებს შორის;

(ii) საბაჟო ორგანოების მიერ შესაბამისი საბაჟო პროცედურები დასრულებულია.

4. სხვადასხვაგვარი ტარიფები

4.1. ავტომანქანის საშვის საფასური

4.1.1 თვის განმავლობაში, მოთხოვნილი ავტომანქანის საშვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 კალენდარულ დღეს.

4.1.2 ავტომანქანები, რომლებიც მონაწილეობენ სატვირთო ოპერაციებში, თავისუფლდებიან ავტომანქანის საშვის საფასურის გადახდისგან.

4.2. პონტონის გამოყენების საფასური

4.2.1 APM Terminals Poti ინარჩუნებს უფლებას, გამოიყენოს პონტონები იმ გემების მიღების მიზნით რომლის წყალშიგი აღემატება ნავმისადგომის დასაშვებ, გამოცხადებულ წყალშიგს. ამგვარი გამოყენებისთვის გადასახდელი იქნება შესაბამისი გადასახადი, გარდა იმ შემთხვევე ბისა, როდესაც წინასწარ, სხვაგვარ შეთანხმებას აქვს ადგილი.

4.2.2 პონტონის გამოყენების საფასური დაიანგარიშება იმ დროზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც პონტონი იქნა გამოყენებული.

Classification: Public

4.2.3 ისეთი პონტონების გადასაადგილებლად ან ამოსაღებად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან უსაფრთხო ნავიგაციას, გამოიყენება ბუქსირი ან მცურავი ამწე (შესაბამისი ტარიფები მოცემულია N1 დანართის 2.6.25 პუნქტში).

4.3. გემის ნავმისადგომზე დადგომის შემდგომ კონტეინერების გადმოტვირთვის/ჩატვირთვის ნუსხის შეცვლა

4.3.1 იმ შემთხვევაში თუ კონტეინერების გადმოტვირთვის ნუსხა იცვლება, ან კონტეინერების განლაგების გეგმაში შეუსაბამობა აღმოჩნდა გემის ნავმისადგომზე დადგომის შემდეგ, ინვოისში მითითებული სრულ საფასურს შეადგენს ფიქსირებული ტარიფი და დამატებით ცვლადი ტარიფი, როგორც ეს განსაზღვრულია N2 დანართის 2.6.30 და 2.6.31 პუნქტებში.

4.3.2 იმ შემთხვევაში თუ კონტეინერების გადმოტვირთვის ნუსხა იცვლება, თუმცა ადგილი არ აქვს "Type ISO"-ის, ჩამოტვირთვის პორტის, გემზე პოზიციის ან კონტეინერის წონის ცვლილებას, მაშინ ტარიფი კონტეინერების გადმოტვირთვის ნუსხის შეცვლისათვის განისაზღვრება N2 დანართის 2.6.30 პუნქტის შესაბამისად. კონტეინერების ნებისმიერი დამატებითი საჭირო ცვლილების ტარიფი განისაზღვრება N2 დანართის შესაბამისად.

4.3.3 გემის დატვირთვის ოპერაციების დროს 10 კონტეინერამდე ჩამოჭრა იქნება უფასო.

5. ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების ტარიფი

5.1. ზოგადი ნაწილი

5.1.1 „კლიენტის" მიერ გადასახდელი ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების გადასახადი დაიანგარიშება წინამდებარე „ზოგადი წესებისა და პირობების" N3 დანართში მოცემული ტარიფების შესაბამისად.

5.1.2 ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების ტარიფი მოიცავს ნავსადგურის მძღოლის/ოპერატორის მომსახურებისა და ბენზინის ტარიფებს.

5.1.3 ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურება ითვალისწინებს მხოლოდ „APM Terminals Poti-ს ტერიტორიაზე" მომსახურებას, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული წერილობით მხარეებს შორის.

5.2. დროის გამოთვლის წესი

5.2.1 დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი პერიოდი: ის იწყება, როდესაც აღჭურვილობა ტოვებს პარკირების ადგილს და სრულდება, როდესაც ის ბრუნდება პარკირების ადგილას, მოიცავს რა საოპერაციო ტერიტორიაზე მიმოსვლას.

5.3. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების აქტი

5.3.1 APM Terminals Poti-ს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი და „კლიენტის" მიერ ხელმოწერილი, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების აქტი, შემდგომ „კლიენტისათვის" ინვოისის წარდგენის მიზნით უნდა მიეწოდოს APM Terminals Poti-ს კლიენტთა მომსახურების სამსახურს. „კლიენტი" მიიღებს წინასწარ ანგარიშს გამოყენების დროის თაობაზე და ფაქტობრივად გაწეული მომსახურების აქტზე ხელმოწერით იღებს ვალდებულებას, დაფაროს ხარჯები იმ დროისთვის, რაც აღემატება წინასწარ ანგარიშით განსაზღვრულ დროს.

5.4. დანამატი

5.4.1 APM Terminals Poti-ის აქტივების მოვლის დეპარტამენტისთვის განსაზღვრული სტანდარტული სამუშაო დროა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 08:00 – 17:00 საათამდე პერიოდი. ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურებისთვის ტარიფზე გავრცელდება 25%-იანი დანამატი იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება გაწეულ იქნება ზეგანაკვეთურ დროში. ზეგანაკვეთური დრო მოიცავს „უქმე დღეებს" და დროს, რომელიც ცდება ზემოთ მითითებულ სტანდარტულ სამუშაო დროს.

Classification: Public

6. სხვა ზოგადი რეგულაციები

6.1. ფორს-მაჟორი

6.1.1 თუ APM Terminals Poti ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს „კლიენტის“ მიმართ, პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს და აღნიშნული არ უნდა შეფასდეს ვალდებულების დარღვევად, თუ APM Terminals Poti -ს მიერ ვალდებულების შესრულებას ხელი შეუშალა ან შესრულება შეუძლებელი გახადა წინასწარ მოსალოდნელმა, თუ მოულოდნელმა შემთხვევებმა, რომლებიც APM Terminals Poti -ს კონტროლს მიღმაა. ასეთი შემთხვევები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ომით, ტერორიზმით, ოკუპაციით, სამთავრობო გადაწყვეტილებებით, ბუნებრივი კატაკლიზმებით, ხანძრით, აფეთქებით, „არახელსაყრელი ამინდის პირობებით“, ბლოკადით, გაფიცვით, თავისუფალი ნავმისადგომების არ არსებობით ან სხვა ნებისმიერი შემთხვევით, რაც არ შეიძლებოდა გონივრულად წინასწარ განსაზღვრულიყო APM Terminals Poti -ს მიერ ან/და რაც მის კონტროლს მიღმაა.

6.1.2 ფორს-მაჟორული ვითარების შემთხვევაში, APM Terminals Poti უფლებამოსილია, შეაჩეროს მისი ვალდებულებების შესრულება, სანამ ფორს-მაჟორული ვითარება აბრკოლებს შესრულების შესაძლებლობას.

6.2. მოთხოვნისგან დაცვა

6.2.1 „კლიენტი“ დააზღვევს, და დაიცავს APM Terminals Poti-სა და მის დირექტორებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, აქციონერებს და აფილირებულ პირებს ყველა პასუხისმგებლობისგან, პრეტენზიისგან, მოთხოვნის, ქმედების, სარჩელის, ზიანის, ვალდებულების, ზარალის, ანგარიშსწორების, გადაწყვეტილებისა და ხარჯებისგან (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ საადვოკატო საფასურისა და ხარჯებისგან, გონივრულობის ფარგლებში), რომელიც დაფუძნებული იქნება მესამე პირების ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, რომელიც შეეხება APM Terminals Poti-ს ტერიტორიის და/ან აკვატორიის ან „მომსახურების“ „კლიენტის“ მიერ გამოყენებისას ამ უკანასკნელთა მიმართ რაიმე სახის ზიანის დადგომას.

6.2.2 „კლიენტი“ დააზღვევს, და დაიცავს APM Terminals Poti-სა და მის დირექტორებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, აქციონერებს და აფილირებულ პირებს ყველა პასუხისმგებლობისგან, პრეტენზიისგან, მოთხოვნის, ქმედების, სარჩელის, ზიანის, ვალდებულების, ჯარიმის, სანქციის ზარალისა და ხარჯებისგან (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ საადვოკატო საფასურისა და ხარჯებისგან, გონივრულობის ფარგლებში) რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს:

(i) „კლიენტის“, მისი თანამშრომლების, აგენტის ან ქვეკონტრაქტორის მიერ არაზუსტი ან არასრული ან შეცდომაში შემყვანი სატვირთო ინფორმაციის წარდგენისგან;

(ii) „კლიენტის“, მისი თანამშრომლების, აგენტის ან ქვეკონტრაქტორის მიერ მარეგულირებელი კანონმდებლობის, მათ შორის, სსიპ შემოსავლების სამსახურის, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, ან სხვა ნებისმიერი საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ დაწესებული რეგულაციის, დირექტივის შეუსრულებლობით;

(iii) „კლიენტის“, მისი თანამშრომლების, აგენტის ან ქვეკონტრაქტორი ქმედებით, უმოქმედობით, გაუფრთხილებლობით გამოწვეული ჯარიმის, პირგასამტეხლოს, სანქციის, საოპერაციო შეფერხების, დაყოვნების ან ზიანისგან, რომელიც ვრცელდება APM Terminals Pot-ზე.

6.3. შეჩერება და გაუქმება

6.3.1 იმ შემთხვევაში, თუ „კლიენტი“ არ ასრულებს ვალდებულებებს APM Terminals Poti -ს მიმართ, ასევე, „კლიენტის“ გაკოტრების, გადახდისუუნარობის ან მისი ბიზნეს-საქმიანობის შეწყვეტის/ ლიკვიდაციის შემთხვევაში, APM Terminals Poti უფლებამოსილია, მართლმსაჯულების ორგანოებისთვის მიმართვის ან/და „კლიენტისათვის“ რაიმე სახის კომპენსაციის გადახდის გარეშე, შეაჩეროს „კლიენტისთვის“ მომსახურების გაწევა სრულად ან ნაწილობრივ, დროებით ან მუდმივად ან/და შეწყვიტოს „კლიენტთან“ ხელშეკრულება/შეთანხმება მიმდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, APM Terminals Poti-ს შეხედულებისამებრ და მისივე წერილობითი

Classification: Public

შეტყობინების საფუძველზე. ზემოაღნიშნული უფლების გამოყენება გავლენას არ ახდენს APM Terminals Poti-ს სხვა უფლებებზე.

6.3.2 იმ შემთხვევაში თუ 6.3.1 ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით წყდება ხელშეკრულება/ „მომსახურება“, APM Terminals Poti -ს ყველა მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ.

6.4. გემის გაყვანა

6.4.1 იმ შემთხვევაში, თუ „კლიენტი“ არ ასრულებს მის ვალდებულებებს, ან არ ასრულებს მათ დროულად და ჯეროვნად, APM Terminals Poti უფლებამოსილია, გაიყვანოს გემი ან გააყვანინოს გემ(ებ)ი „კლიენტის“ ხარჯითა და რისკით.

6.5. სატრანსპორტო საშუალების გაყვანა საბაჟო საწყობიდან

6.5.1 სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/მიმღები/ფორვარდერი ვალდებულია, ავტომანქანის გაყვანა საბაჟო საწყობიდან უზრუნველყოს შესაძლო უმოკლეს ვადაში/კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შესაბამისი პროცედურების დაცვით.

6.5.2 თუ ავტომანქანა კონტეინერის გახსნიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში არ დატოვებს საწყობის ტერიტორიას ან/და არ არის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში, ნავსადგური აწარმოებს აქტიურ კომუნიკაციას სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრესთან/მიმღებთან/ ფორვარდერთან/სსიპ შემოსავლების სამსახურთან, საწყობიდან ავტომანქანის უმოკლეს ვადაში გაყვანის მოთხოვნით და მიმართავს შესაბამის ზომებს.

6.5.3 ავტომანქანის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში არ წარმოადგენს ნავსადგურის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან პასუხისმგებელი მხარის ავტომატურად გათავისუფლების საფუძველს

6.6. გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

6.6.1 APM Terminals Poti-სა და „კლიენტს“ შორის სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ამასთანავე, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სასამართლოების მიერ, სხვა ყველა იურისდიქციის გამორიცხვით, თუ მხარეთა შორის სხვაგვარად წერილობით არ არის შეთანხმებული.

6.7. ერთი ან რამდენიმე პირობის ბათილობა

6.7.1 წინამდებარე „ზოგადი წესების და პირობების“ რომელიმე პირობის ბათილობა/გაუქმება არ გამოიწვევს სხვა პირობების ბათილობას/გაუქმებას.

6.7.2 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „ზოგად წესებსა და პირობების“ რომელიმე პირობა ჩაითვლება არაგონივრულად დამამძიმებლად, მიუღებლად ან ბათილად მოცემულ სიტუაციაში, ასეთი პირობა უნდა შეიცვალოს ისეთი პირობით, რომელიც ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით გამოსაყენებელია და ესადაგება მიუღებელი პირობის რეგულირების სფეროს მხარეთა შორის.

6.8. პირობებისა და ტარიფების ცვლილება

6.8.1 APM Terminals Poti უფლებამოსილია, ერთპიროვნულად შეცვალოს წინამდებარე „APM Terminals Poti-ის ტარიფები“. „APM Terminals Poti-ის ტარიფების“ შეცვლილი ვერსია გამოქვეყნდება ან მიეწოდება „კლიენტს“, მისი ძალაში შესვლამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) დღით ადრე.

6.8.2 წინამდებარე „APM Terminals Poti-ის ტარიფები“ მოქმედებს 2026 წლის 1 იანვრიდან.

6.9. უპირატესი ენა

6.9.1 წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენაზე, დოკუმენტის ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის რაიმე სახის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დოკუმენტის ინგლისურ ვერსიას.

კითხვების არსებობის შემთხვევაში მოგვმართეთ:

კომერციული სამსახური

Classification: Public

APM Terminals Poti / სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“
საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N38
ტელ.: +995 493 277777
E-mail: Sales.APMTerminalsPoti@apmterminals.com
ვებ-გვერდი: http://www.apmterminalspoti.com/

Classification: Public

დანართი 1 – სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები

1.1. სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები

სანავსადგურო მოსაკრებლები და გადასახადები	საკონტეინერო გემი				ტანკერი	სარკინიგზო ბორანი	რორო ტიპის ბორანი		სხვა
მთლიანი ტონაჟი	< 9500	9500-13000	13000-15000	> 15000			< 8000	> 8000	
აშშ დოლარი დღე-ს გარეშე									
1.1.1. სატონაჟო მოსაკრებელი[1]	0.916	0.875	1.051	0.947	1.435	0.278	0.243	0.294	1.315
1.1.2. არხის მოსაკრებელი	0.550	0.525	0.631	0.568	0.688	0.133	0.117	0.141	0.632
1.1.3. სანიტარული გადასახადი	0.069	0.066	0.080	0.072	0.087	0.017	0.014	0.018	0.078
1.1.4. სავოჩმანო გადასახადი	0.082	0.078	0.094	0.085	0.103	0.020	0.018	0.021	0.094
1.1.5. გემის მიბმის/მოხსნის გადასახადი[2]	0.012	0.012	0.014	0.013	0.032	0.013	0.011	0.013	0.023
1.1.6. ბუქსირზიდვის (შემოყვანა/გაყვანა) გადასახადი[3]	0.229	0.219	0.262	0.237	0.321	0.065	0.057	0.068	0.291
1.1.6.1 დამატებითი ბუქსირის ფიქსირებული გადასახადი[4]	882				882	882	882		882
1.1.7. სანავმისადგომო მოსაკრებელი[5]									
1.1.7.1. სატვირთო ოპერაციებისათვის	57.75 საათში				0.113	0.022	0.019	0.023	0.105
1.1.7.2. არასატვირთო ოპერაციებისათვის[6]	0.011 საათში								
1.1.8. ნავმისადგომის დაკავება სატვირთო ოპერაციების დასრულების შემდეგ[7]									
1.1.8.1. იჯარით გაცემულ ნავმისადგომებზე 9 საათის შემდეგ;	0.008 საათში								
1.1.8.2 ნავმისადგომ 2, 7, 12, 13 და 14-თან რორო ტიპის ბორნებისა და საკონტეინერო გემებისათვის 4 საათის შემდეგ, სარკინიგზო ბორნებისათვის 12 საათის შემდეგ, სხვა გემებისათვის 6 საათის შემდეგ.	0.168 საათში								
1.1.9. შიდა რეიდზე ღუზაზე დგომის გადასახადი	0.002 საათში								
1.1.10. გემის გადაადგილების გადასახადი	0.399	0.399	0.399	0.399	0.462	0.357	0.20	0.20	0.420

[1] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი სანიტარული გადასახადი
[2] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 2.8.1
[3] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 2.4.2, 2.4.3, 2.8.1
[4] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 2.4.3, 2.4.4.
[5] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 2.2.1, 2.2.2
[6] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 2.2.3
[7] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი ნავმისადგომის დაკავება

Classification: Public

1.2. სანავსადგურო მომსახურების სპეციალური ტარიფები

1.2.1.	**სანავსადგურო მომსახურების კომპლექსური ტარიფი**[8]		
			აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე
1.2.1.1.	თევზსაჭერი და თევზის გადამზიდავი გემები		100.00 დღეში
1.2.1.2.	საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი და თევზის გადამზიდავი გემები	მთლიანი ტონაჟი > 50	1.00 GT/თვეში
		მთლიანი ტონაჟი < 50	50.00 თვეში
1.2.1.3.	საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი და თევზის გადამზიდავი გემები	მთლიანი ტონაჟი > 50 (ნოემბერი - აპრილი)	1.30 GT/თვეში
		მთლიანი ტონაჟი > 50 (მაისი- ოქტომბერი)	0.70 GT/თვეში
		მთლიანი ტონაჟი < 50	50.00 თვეში

1.3. ტარიფები ნაგავთან, წყალსა და ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებებისთვის[9]

			აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე
1.3.1	**როდესაც სანიტარული გადასახადი არ არის დაკისრებული, „კლიენტის“ მოთხოვნით შემდეგი მომსახურებებით სარგებლობისას, გემებს ეკისრებათ შემდეგი ტარიფები:**		
1.3.1.1	ლიალური წყლის მოხსნა	კუბური მეტრი	50.00
1.3.1.2	ფეკალური წყლის მოხსნა	კუბური მეტრი	45.00
1.3.1.3	მშრალი ნაგვის მოხსნა		
1.3.1.3.1	მშრალი ნაგვის მოხსნა (მინიმალური გადასახადი)	სერვისი	30.00
1.3.1.3.2.	მშრალი ნაგვის მოხსნა	კუბური მეტრი	30.00
1.3.2	**მტკნარი წყლის მიწოდება**	მეტრული ტონა	10.00

დანართი 2 - ტვირთის გადამუშავების ტარიფები[10]

2.1	**ნავმისადგომის ოპერაციები**		
		აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე	
2.1.1	**გენერალური ტვირთი**[11]		
	ტვირთი, რომლის წონაც აღემატება 35 ტონას და/ან რომლის მოცულობაც შეადგენს მინიმუმ 50 $მ^3$-ს	ტონა ან $მ^3$	35.00

[8] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი ნა***ვსადგურის მო***მსახურების კომპლექსური ტარიფი
[9] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 2.5.5
[10] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 2.8.1(i), 2.8.1(ii), 2.8.1(iv), 3.1.2
[11] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 3.b

Classification: Public

	≤ 35 ტონა	ტონა	25.00
	≤ 25 ტონა	ტონა	20.00
	≤ 5 ტონა	ტონა	15.00
2.1.2	**ბორბლებიანი და მუხლუხებიანი ტექნიკის ამწით აწევა**[12]		
	≤ 5 ტონა	ერთეული	158.00
	≤ 10 ტონა	ერთეული	263.00
	≤ 25 ტონა	ტონა	32.00
	≤ 40 ტონა	ტონა	42.00
	40 ტონა და მეტი	ტონა	53.00
2.1.3	**ბორბლებიანი და მუხლუხებიანი ტექნიკა საკუთარი სვლით**		
	< 5 ტონა	ერთეული	50.00
	< 30 ტონა	ერთეული	120.00
	30 ტონა და მეტი	ტონა	6.00
2.1.4	**სარკინიგზო ვაგონები საკუთარი სვლით**		
2.1.4.1.	დატვირთული ვაგონი	ერთეული	140.00
2.1.4.2.	ცარიელი ვაგონი	ერთეული	25.00
2.1.5	**მგზავრის გადასახადი**	მგზავრი	10.00
2.1.6	**ნაყარი ტვირთი**		
2.1.6.1.	ტვირთის გემიდან გადმოცლა / დატვირთვა სატვირთო/სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე სატაცის მეშვეობით	ტონა	15.00
2.1.6.2.	დატვირთვა როტეინერების მეშვეობით	ტონა	POA[13]
2.1.7	**კონტეინერები**		
2.1.7.1	ნავსადგურის ადმინისტრირების საფასური[14]	ერთეული	85.00
2.1.7.2	გადმოტვირთვა/ჩატვირთვა		
2.1.7.2.1	სავსე 20’	ერთეული	62.00
2.1.7.2.2	ცარიელი 20’	ერთეული	22.00
2.1.7.2.3	სავსე 40’/45’	ერთეული	92.00
2.1.7.2.4	ცარიელი 40’/45’	ერთეული	42.00
2.1.7.2.5	სავსე (IMO კლასი-1, და კლასი-7) ნავსადგურიდან გატანა ხორციელდება დაუყოვნებლივ	ერთეული	270.00
2.1.7.2.6	სავსე 20’ (IMO კლასი, გარდა კლასი-1, და კლასი-7-ისა)	ერთეული	95.00
2.1.7.2.7	ცარიელი 20’ (IMO კლასი, გარდა კლასი-1, და კლასი-7-ისა)	ერთეული	55.00
2.1.7.2. 8	სავსე 40’/45’ (IMO კლასი, გარდა კლასი-1, და კლასი-7-ისა)	ერთეული	130.00
2.1.7.2.9	ცარიელი 40’/45’ (IMO კლასი, გარდა კლასი-1, და კლასი-7-ისა)	ერთეული	80.00

[12] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 2.8.1(iii) 2.8.1(vi)
[13] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 3.H
[14] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 3.g

Classification: Public

2.1.7.2.10	OOG სავსე 20’ (არასტანდარტული სპრედერის გამოყენების შემთხვევაში)	ერთეული	120.00
2.1.7.2.11	OOG სავსე 40’ (არასტანდარტული სპრედერის გამოყენების შემთხვევაში)	ერთეული	185.00
2.1.7.3.	კონტეინერის გადაადგილება (ტრიუმი-ტრიუმი)	ერთეული	45.00
2.1.7.4.	კონტეინერის გადაადგილება (ტრიუმი-ნავმისადგომი-ტრიუმი)	ერთეული	90.00
2.1.7.5.	სახანძრო მანქანით გაცილება, კონტეინერების (IMO კლასი-1 და კლასი-7) გემიდან გადმოცლის შემდეგ	პირველი საათი	უფასო
2.1.7.5.1.	გაცილება უფასო, პირველი ერთი საათის შემდეგ	საათი	105.00

2.2	**ჰორიზონტალური ტრანსპორტირება**		
		აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე	
	APM Terminals Poti-ს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით		
2.2.1	სავსე კონტეინერი	ერთეული	30.00
2.2.2	ცარიელი კონტეინერი	ერთეული	25.00

2.3	**სასაწყობო ოპერაციები**		
		აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე	
2.3.1	**აწევა/დაწევა**		
2.3.1.1.	სავსე კონტეინერი	გადაადგილება /ერთეული	15.00
2.3.1.2.	ცარიელი კონტეინერი	გადაადგილება /ერთეული	10.00
2.3.2	**გადატვირთვის ოპერაციები კონტეინერებსა და/ან სატვირთოებს შორის** (გარდა ავტომობილებისა) [15]		
2.3.2.1	მინიმალური გადასახადი[16]	ერთეული	150.00
2.3.2.2	ტვირთი ბიგ-ბეგებში/კასრებში/პალეტებზე	ტონა	7.00
2.3.2.3	ტვირთი ტომრებში	ტონა	8.00
2.3.2.4	ტვირთი ყუთებში და რულონებში	ტონა	9.00
2.3.2.5	არაგაბარიტული ტვირთი	ტონა	30.00
2.3.2.6	არაგაბარიტული კონტეინერი (სტაფინგი)	ტონა	30.00
2.3.2.7	სატრანსპორტო ერთეული (საკუთარი სვლით)	ერთეული	60.00
2.3.2.8	სხვა ტვირთები	ტონა	18.00
2.3.3	**ბორბლებიანი და მუხლუხებიანი ტექნიკის გადატვირთვის ოპერაციები (საკუთარი სვლით ვაგონებიდან)**		
	< 5 ტონა	ერთეული	60.00
	5 ტონა და მეტი	MT	12.00

2.4	**შენახვა**		
		აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე	
2.4.1	**გენერალური ტვირთი**		
	პირველი 4 დღე	ტონა/დღე	0.50

[15] მოიცავს სტრიპინგსა და სტაფინგს, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.
[16] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 3.c, 3.F.

Classification: Public

	მე-5-დან 30-ე დღის ჩათვლით	ტონა/დღე	1.00
	30 დღეზე მეტი	ტონა/დღე	3.00
2.4.2.	**კონტეინერები**		
	სავსე[17]		
	პირველი და ბოლო არასრული დღე	20’/დღე	0.00
	მე-2-დან მე-6 დღის ჩათვლით	20’/დღე	1.50
	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	20’/დღე	3.00
	მე-14-ე დღე და მეტი	20’/დღე	6.00
	პირველი და ბოლო არასრული დღე	40’/45’/დღე	0.00
	მე-2-დან მე-6 დღის ჩათვლით	40’/45’/დღე	3.00
	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	40’/45’/დღე	6.00
	მე-14-ე დღე და მეტი	40’/45’/დღე	12.00
	ცარიელი		
	პირველი 8 დღე	20’/დღე	0.00
	მე-9-დან მე-16-ე დღის ჩათვლით	20’/დღე	2.50
	მე-17- ე დღე და მეტი	20’/დღე	5.00
	პირველი 8 დღე	40’/45’/დღე	0.00
	მე-9-დან მე-16-ე დღის ჩათვლით	40’/45’/დღე	5.00
	მე-17- ე დღე და მეტი	40’/45’/დღე	10.00
2.4.3	**მაცივარ-კონტეინერის ჩართვა, გამორთვა და მონიტორინგი**	ერთეული/დღე	32.00
2.4.4	**სახიფათო ტვირთით დატვირთული კონტეინერები** (გარდა კლასი-1, კლასი-5 და კლასი-7)		
	პირველი და ბოლო არასრული დღე	20’/დღე	0.00
	მე-2-დან მე-6 დღის ჩათვლით	20’/დღე	4.50
	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	20’/დღე	9.00
	მე-14-ე დღე და მეტი	20’/დღე	18.00
	პირველი და ბოლო არასრული დღე	40’/45’/დღე	0.00
	მე-2-დან მე-6 დღის ჩათვლით	40’/45’/დღე	9.00
	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	40’/45’/დღე	18.00
	მე-14-ე დღე და მეტი	40’/45’/დღე	36.00
2.4.5	**დაზიანებული (ცვენადი/ჟონვადი) კონტეინერი**	ერთეული/დღე	105.00
2.4.6	**ბორბლებიანი და მუხლუხებიანი ტექნიკა**		
	< 5 ტონა		
	პირველი და ბოლო არასრული დღე	ერთეული/დღე	0.00
	მე-2-დან მე-6 დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	4.50
	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	7.50
	მე-14-ე დღე და მეტი	ერთეული/დღე	15.00
	5 ტონა და მეტი		
	პირველი და ბოლო არასრული დღე	ერთეული/დღე	0.00
	მე-2-დან მე-6 დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	7.50
	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	15.00
	მე-14-ე დღე და მეტი	ერთეული/დღე	22.50

2.5	**საკონტეინერო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ერთეულების გადამუშავება**

[17] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 3.2.1

Classification: Public

		ლარი დღგ-ს გარეშე	
2.5.1.	**სტრიპინგი**[18]		
2.5.1.1	ავტომობილი	ერთეული	130.00
2.5.1.2	ტექნიკა/მოწყობილობა	ერთეული	315.00
2.5.2	**სტაფინგი (მოიცავს დამაგრებას, ხის მასალებს)**	ერთეული	400.00
2.5.3.	**დამატებითი აწევა ფორკლიფტის გამოყენებით**	ერთეული	35.00
2.5.4.	**შენახვა**		
2.5.4.1.	კონტეინერის დაცლის დღე + 3 დღე	ერთეული/დღე	0.00
2.5.4.2.	მე-5-ე და მე-6-ე დღე	ერთეული/დღე	30.00
2.5.4.3.	მე-7-დან მე-13-ე დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	35.00
2.5.4.4.	მე-14-დან 60 დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	40.00
2.5.4.5	61-დან 90-ე დღის ჩათვლით	ერთეული/დღე	15.00
2.5.4.6	91-ე დღე და მეტი	ერთეული/დღე	1.00

2.6	**სხვადასხვაგვარი ტარიფები**		
		აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე	
2.6.1	სამაგრი მოწყობილობების ყუთის გემიდან გადმოტვირთვა/დატვირთვა	ერთეული	137.00
2.6.2	გემის ტრიუმის ან ტვინდეკის სარქველის მოხსნა/დაყენება	ერთეული	74.00
2.6.3	APM Terminals Poti-ს სარკინიგზო ხაზების გამოყენება	ვაგონი	26.00
2.6.4	APM Terminals Poti-ს სარკინიგზო ხაზის გამოყენება საკონტეინერო ტეროტორიაზე	ვაგონი	11.00
2.6.5	ნავსადგურის არაძირითადი შემოსასვლელი კარიბჭით სარგებლობის გადასახადი	ვაგონი ან სატვირთო	26.00
2.6.6	კონტეინერის ინსპექტირება (ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვით)	ერთეული	126.00
2.6.7	კონტეინერის ინსპექტირება (ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის გარეშე)	ერთეული	0.00
2.6.8	სატრანსპორტო საშუალების გადაწონვა	ერთეული	16.00
2.6.9	კონტეინერის გადაწონვა (მათ შორის VGM სერთიფიკატი, აღება-დადება, ტრანსპორტირება)	ერთეული	53.00
2.6.10	კონტეინერის გადაწონვა (საბაჟო სამსახურის/კლიენტის მოთხოვნით)	ერთეული	21.00
2.6.11	სატვირთოების აწონვა მე-7 ნავმისადგომზე	ერთეული	5.00
2.6.12	კონტეინერების/როლ ტრეილერების კომბინირება ან დაშლა	ერთეული	21.00
2.6.13	IMDG ან სხვა ნებისმიერი იარლიყის დამაგრება	იარლიყი	11.00
2.6.14	IMDG ან სხვა ნებისმიერი იარლიყის მოხსნა	იარლიყი	21.00
2.6.15	დასაქოქი სადენის გამოყენება	ერთეული	5.00
2.6.16	მწყობრიდან გამოსული ა/მ-ის ბუქსირება ნავსადგურის ტერიტორიიდან	ერთეული	26.00
2.6.17	მაცივარ კონტეინერის მომზადება/შემოწმება	ერთეული	47.00
2.6.18	გემზე ტვირთის დამაგრება/მოხსნა (შედუღებისა და ჭრის გარეშე)	ტონა	8.00
2.6.19	ცვლის მოცდენა (საკონტეინერო გემების გარდა)	საათი	420.00

[18] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 3.2.2

Classification: Public

2.6.20[19]	მსუბუქი ავტომანქანის საშვის საფასური	ერთეული/თვე	37.00
2.6.21	წლიური მსუბუქი ავტომანქანის საშვის საფასური	ერთეული/წელი	420.00
2.6.22	საშვის ელ. ბარათის საფასური	ერთეული	3.00
2.6.23	პონტონის გამოყენების საფასური (დაყენების და მოხსნის ჩათლით)[20]	ერთეული/საათი	32.00
2.6.24	პონტონის ამოღება/გადაადგილება ნავსადგურის აკვატორიიდან ბუქსირით ან მცურავი ამწით[21]	შემთხვევა	735.00
2.6.25	ჰაერის მიწოდება სატვირთოებისთვის	სატვირთო	11.00
2.6.26	უსაფრთხოების cage-ის გამოყენება („კლიენტის“ მოთხოვნით)	საათი	210.00
2.6.27	სასწრაფო/სახანძრო სამსახურის მომსახურება ოპერაციების მიმდინარეობისას	საათი	263.00
2.6.28	მაცივარ-კონტეინერის გადმოტვირთვისას სადენის დახვევა ზიანის თავიდან აცილების მიზნით	ერთეული	26.00
2.6.29	გემის ნავმისადგომთან დადგომის შემდეგ, გემზე დასატვირთი კონტეინერების სიის ცვლილება ან გადმოცლის გეგმის შეუსაბამობა (ფიქსირებული საფასური)[22]	შემთხვევა	525.00
2.6.30	გემის ნავმისადგომთან დადგომის შემდეგ, გემზე დასატვირთი კონტეინერების სიის ცვლილება ან გადმოცლის გეგმის შეუსაბამობა (ცვალებადი საფასური)[23]	ერთეული	32.00
2.6.31	დაზიანებული ბიგ-ბეგებისა და ტომრების ხელახლა შეფუთვა (ახალი შესაფუთისა და შესაკეთებელი მასალის გარეშე)	ერთეული	37.00
2.6.32	გემის შემოსვლამდე სულ მცირე 24 საათით ადრე ინფორმაციის სრულყოფილად და დადგენილ დროში წარმოუდგენლობის შემთხვევაში[24]	შემთხვევა	1050.00

დანართი 3 - ნავსადგურის ტექნიკური ერთეულებით მომსახურების ტარიფები[25]

3.1	მცურავი ერთეულები	ანგარიშგების მინიმალური საათი	APM Terminals Poti-ის აკვატორიაში (სთ.)	APM Terminals Poti-ის აკვატორიის გარეთ (სთ.)
			აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე	
3.1.1	ბუქსირი	1	560.00	850.00
3.1.2	მცურავი ამწე	2	500.00	700.00
3.1.3	სალოცმანო კატარღა	1	230.00	420.00
3.1.4	ნ. ნიკოლაძე (ამოხაპვის ოპერაცია)		შეთანხმების შესაბამისად (POA)	

3.2	მექანიზაციის ერთეულები	ანგარიშგების მინიმალური საათი	ტარიფი საათში
			აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე
3.2.1	მობილური ამწე LINK-BELT (90 MT)	2	210.00

[19] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 4.1.1, 4.1.2
[20] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 4.2.2
[21] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 4.2.3
[22] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 4.3.1, 4.3.2
[23] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 4.3.1
[24] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფი 1.4.9.1
[25] დამატებითი მოწესრიგებისთვის, იხ. პარაგრაფები 5.1.2, 5.1.3, 5.2.1, 5.4.1

Classification: Public

3.2.2	მობილური ამწე KATO (30 MT)	2	158.00
3.2.3	მობილური პორტალური ამწე (100 MT)	4	315.00
3.2.4	ჩანგლიანი ავტომტვირთველი	1	32.00
3.2.5	ავტომტვირთველი (Reach stacker)	2	105.00
3.2.6	ავტომტვირთველი (Empty Handler)	1	63.00
3.2.7	ციცხვიანი ექსკავატორი (Wheel Loader) - Bobcat	1	53.00
3.2.8.	ციცხვიანი ექსკავატორი (Wheel Loader) - VOLVO	1	105.00
3.2.9	სატერმინალო სატვირთო და მისაბმელი ერთეულები	1	37.00
3.2.10	ლოკომოტივი	1	280.00

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, სხვა სადოკო მომსახურებებისა და ტარიფების შესახებ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომერციულ განყოფილებას:

sales.apmterminalspoti@apmterminals.com

Classification: Public

დანართი 4 - ბუქსირზიდვასა და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს სტანდარტული პირობები (შეცვლილი 1986 წელს)

ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა

გაერთიანებული სამეფოს სტანდარტული პირობები

ბუქსირზიდვისა და სხვა მომსახურებისათვის (შეცვლილი 1986 წელს)

ბუქსირის მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის ხელშეკრულებაზე მოქმედებს და გამოიყენება აქ განსაზღვრული პირობები.

1.1 ამ პირობების მიზნებისთვის

1.1.1 „ბუქსირზიდვა“ არის ნებისმიერი ოპერაცია დაკავშირებული დამქირავებლის გემის ჭერასთან, მიწოლასთან, გათრევასთან, მოძრაობასთან, ესკორტირებასა და გაძღოლასთან, ასევე განიმარტება გამოთქმები „ბუქსირება“, „ბუქსირებული“, „ბუქსირი“.

1.1.2 „გემი“ მოიცავს ნებისმიერ გემს, ნავს ან ნებისმიერი ტიპის ობიექტს (უკავშირდება თუ არა სიტყვა „გემის“ ჩვეულებრივ მნიშვნელობას) და რომლის ბუქსირზიდვაზეც ან სხვა მომსახურების გაწევაზე თანხმდება ბუქსირის მესაკუთრე, დამქირავებლის გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნით.

1.1.3 „ტენდერი“ გულისხმობს ნებისმიერ გემს, ნავს ან ნებისმიერი ტიპის ობიექტს, რომელიც არ წამოადგენს ბუქსირს, მაგრამ რომელსაც ბუქსირის მესაკუთრე იყენებს ბუქსირზიდვის ან სხვა მომსახურების გასაწევად.

1.1.4 გამოთქმა „ბუქსირზიდვის დროს“ ნიშნავს პერიოდს დაწყებულს ბუქსირის ან ტენდერის მზადყოფნის მომენტიდან მიიღოს მითითებები დამქირავებლის გემისგან, რათა დაიწყოს გემის ჭერა, მიწოლა, გათრევა, მოძრაობა, ესკორტირება ან გაძღოლა ან თოკების, მავთულების ან სადენების აკრეფა ან მაშინ როდესაც საბუქსირე სადენი გადაცემულია ბუქსირის ან ტენდერის მიერ, რომელიც უფრო ადრე ხდება და სრულდება, როდესაც საბოლოო მითითება ხორციელდება დამქირავებლის გემის მიერ, რათა მოხდეს გემის ჭერა, მიწოლა, გათრევა, მოძრაობა, ესკორტირება ან გაძღოლა ან თოკების, მავთულების ან სადენების გადაგდება ან როდესაც საბუქსირე სადენი გათავისუფლებულია, რომელიც უფრო გვიან ხორციელდება და ბუქსირი ან ტენდერი უსაფრთხოდ გათავისუფლდა გემისგან.

1.1.5 ნებისმიერი ტიპის მომსახურება გაწეული ბუქსირის მესაკუთრის მიერ გარდა ბუქსირზიდვისა ფარავს პერიოდს, რომელიც იწყება ბუქსირის განთავსებისას დამქირავებლის განკარგულებაში დამქირავებლის მიერ მითითებულ ადგილას ან თუ ასეთი ადგილი გემთანაა და როდესაც ბუქსირი ან ტენდერი მზადაა მითითებების მიღებისათვის და გრძელდება მანამ სანამ ბუქსირი ან ტენდერი ჩართულია მომსახურების მიწოდებაში. თუ მომსახურების მიწოდება უნდა დასრულდეს გემის სიახლოვეს, მომსახურების პერიოდი სრულდება როდესაც ბუქსირი ან ტენდერი უსაფრთხოდ თავისუფლდება გემისგან ან თუ სხვაგან უნდა დასრულდეს, მაშინ როდესაც ნებისმიერი პირი და ქონება დაეშვება ხმელეთზე ბუქსირიდან ან ტენდერიდან და/ან მომსახურება რისთვისაც ბუქსირი ან ტენდერი გახდა საჭირო დასრულდა.

1.1.6 სიტყვა „ბუქსირი“ მოიცავს სიტყვას „ბუქსირები“, სიტყვა „ტენდერი“ მოიცავს „ტენდერები“, სიტყვა „გემი“ მოიცავს სიტყვას „გემები“, სიტყვა „ბუქსირის მესაკუთრე“ მოიცავს სიტყვას „ბუქსირის მესაკურეები“, სიტყვა „დამქირავებელი“ მოიცავს სიტყვას „დამქირავებლები“.

1.1.7 სიტყვა „ბუქსირის მესაკუთრე“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს (გარდა დამქირავებლისა და გემის მესაკუთრისა, რომლის სახელით დამქირავებელი აფორმებს კონტრაქტს მე-2 მუხლის შესაბამისად), რომელიც ხელშეკრულების მხარეა მიუხედავად იმისა იგი თავად წარმოადგენს თუ არა ბუქსირის ან ტენდერის მესაკუთრეს, ასევე განიმარტება „ბუქსირის სხვა მესაკუთრე“ მე-5 მუხლში.

2. თუ ამ ხელშეკრულების გაფორმების დროს ან დამქირავებლის გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნით ბუქსირზიდვის ან სხვა მომსახურების განხორციელებისას, დამქირავებლად წოდებული არ წარმოადგენს გემის მესაკუთრეს, დამქირავებელი ცხადად გამოხატავს, რომ იგი უფლებამოსილია დადოს

Classification: Public

წინამდებარე შეთანხმება და დებს მას აღნიშნული გემის მესაკუთრის სახელით, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს პირობები და რომლითაც ცალ-ცალკე და სოლიდარულად შებოჭილი არიან მესაკუთრე და დამქირავებელი.

3. ბუქსირზიდვის დროს ან იმ დროს, როდესაც ბუქსირის მესაკუთრე დამქირავებლის გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნით ახორციელებს ბუქსირზიდვისგან განსხვავებულ მომსახურებას, ბუქსირის ან ტენდერის კაპიტანი და ეკიპაჟი მიიჩნევა დამქირავებლის მუშაკებად და მისი კონტროლის ქვეშ და/ან მის თანამშრომლებად და/ან აგენტებად, აგრეთვე ნებისმიერი პირი, რომელიც დასაქმებულია ბუქსირის მესაკუთრის მიერ, მაგრამ იმყოფება დამქირავებლის გემზე, ითვლება დამქირავებლის მუშაკად და დამქირავებელი აგებს მათ ქმედებებზე პასუხს.

4. ბუქსირზიდვის დროს ან იმ დროს, როდესაც ბუქსირის მესაკუთრე დამქირავებლის გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნით ახორციელებს ბუქსირზიდვისგან განსხვავებულ მომსახურებას:

4.1 ბუქსირის მესაკუთრე არ არის პასუხისმგებელი ან ვალდებული (გარდა 4.3. და 4.5 მუხლში განსაზღვრული შემთხვევებისა)

4.1.1 ბუქსირის ან ტენდერის ნებისმიერი აღწერილობის ზიანზე; ან დამქირავებლის გემზე ან ტვირთზე ან სხვა ნივთებზე, რომლებიც მოთავსებულია გემბანზე ან განკუთვნილია გემის, ბუქსირის ან ტენდერის გემბანზე ჩასატვირთად; ან სხვა ნივთსა ან ქონებაზე;

ან

4.1.2 ბუქსირის ან ტენდერის ან დამქირავებლის გემის, ან ბუქსირზე, ტენდერზე ან გემზე განთავსებული ტვირთის ან სხვა ნივთების ან ბუქსირზე, ტენდერზე ან გემზე დასატვირთად გამზადებული ტვირთის ან სხვა ნივთების ან ქონების დანაკლისზე;

ან

4.1.3 იმ პირის მოთხოვნაზე ნებისმიერი აღწერილობის ზიანის შესახებ, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მხარე, დამდგარი ნებისმიერი მიზეზის შედეგად (შემდეგის განზოგადების მიუხედავად) მათ შორის ბუქსირის მესაკუთრის, მისი მუშაკების ან აგენტების დაუდევრობა, არასაზღვაო პირობები, ტენდერის ან ბუქსირის, მათი დანადგარების, ქვაბების, საბუქსირე მოწყობილობების, აღჭურვილობის, სადენების, თოკებისა და კაბელების დაზიანება, საწვავის, მარაგის, სიჩქარის ნაკლებობა ან სხვა და

4.2 დამქირავებელი პასუხისმგებელია (გარდა 4.3. და 4.5 მუხლებით განსაზღვრული შემთხვევებისა) ბუქსირის მესაკუთრის ნებისმიერ დანაკარგსა და ზიანზე და ვალდებულია იგი დაიცვას ასეთი ზიანისგან, მიუხედავად მისი წარმოშობის მიზეზისა და იმისა იგი რეგულირებულია თუ არა 4.1. მუხლით, რომელიც ასევე მოიცავს (შემდეგის განზოგადების მიუხედავად) ტენდერის ან ბუქსირის ან ნებისმიერი ქონების ნებისმიერ დანაკარგსა და ზიანს მაშინაც კი თუ აღნიშნული ზიანი გამოწვეულია ბუქსირის მესაკუთრის, მისი მუშაკების ან აგენტების დაუდევრობის მიერ.

4.3 4.1. და 4.2. მუხლებით დადგენილი რეგულაცია არ გამოიყენება შემდეგი შემთხვევების შედეგად დამდგარ ზიანზე:

4.3.1 ყველა მოთხოვნა, თუ დამქირავებელი დაადასტურებს, რომ ასეთი მოთხოვნები გამოწვეულია ბუქსირის მესაკუთრის პირდაპირი და ერთპიროვნული ბრალისგან გამოეჩინა გონივრული გულისხმიერება რათა უზრუნველეყო ბუქსირის ან ტენდერის გამართულობა ზღვაში ნავიგაციისთვის ბუქსირზიდვის ან სხვა მომსახურების დაწყებისას. ამ მუხლის მიზნებისთვის ბუქსირის მესაკუთრის პირადი პასუხისმგებლობა გამოეჩინა გონივრული გულისხმიერება უნდა განისაზღვროს, როგორც იმ პირების პასუხისმგებლობა ვისაც გააჩნია პირდაპირი კონტროლი და მენეჯმენტის უფლებამოსილება ბუქსირის მესაკუთრის ბიზნესსა და მუშაკებზე (გარდა ნებისმიერი ტენდერისა და ბუქსირის წარმომადგენლებისა და ეკიპაჟისა), ვიზეც ბუქსირის მესაკუთრეს სპეციალურად დელეგირებული აქვს კონკრეტული პასუხისმგებლობა გამოიჩინონ გონივრული გულისხმიერება და არ მოიცავს ისეთ მუშაკებსა და აგენტებს ან დამოუკიდებელ კონტრაქტორებს, რომლებიც დასაქმებული არიან ბუქსირის მესაკუთრის მიერ.

4.3.2 ყველა მოთხოვნა, რომელიც წარმოიშვება მაშინ როდესაც ბუქსირი ან ტენდერი ახორციელებს ბუქსირზიდვისგან განსხვავებულ მომსახურებას და არ არიან დამქირავებლის გემთან ახლოს ან ასეთი გემისგან გამომდინარე რისკის ქვეშ, აგრეთვე უსაფრთხოდ გათავისუფლებული არიან თოკებისგან, კაბელებისგან და სადენებისგან. მიუხედავად აღნიშნულისა, 4.1. და 4.2. მუხლები გამოიყენება ყველა მოთხოვნასთან მიმართებით, როდესაც მოთხოვნები წარმოიშობა იმ დროს როდესაც ბუქსირს ან ტენდერს დამქირავებლის, მისი მუშაკებისა და

Classification: Public

აგენტების გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნით გადაჰყავს პირები ან ნებისმიერი ტიპის ქონება (დამატებით ბუქსირის ან ტენდერის ოფიცრების, ეკიპაჟისა და დამახასიათებელი აღჭურვილობისა) და როგორი მოთხოვნაც სრულიად ან ნაწილობრივ გამოწვეულია ასეთი პირების ან ქონების ტენდერის ან ბუქსირის გემბანზე ყოფნის გამო ან რომელიც წარმოიშობა ტენდერის ან ბუქსირის მიერ დამქირავებლის გემის სახიფათო პირობებში გადაყვანის შემთხვევაში.

4.4 მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ბუქსირის მესაკუთრე არცერთ შემთხვევაში არ აგებს პასუხს და არ წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს ნებისმიერ ზიანზე ან დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის გემის ან გემზე დატვირთული ან დასატვირთად გამიზნული ტვირთის დაგვიანების ან დაკავების გამო ან სხვა ნებისმიერი პირის ნებისმიერი ობიექტის ან ქონების ზიანისთვის, მიუხედავად იმისა, ასეთი ზიანი წარმოიშვა თუ არა ბუქსირზიდვის დროს ან დამქირავებლის გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერი სხვა ბუქსირზიდვისგან განსხვავებული მომსახურების გაწევის დროს, მიუხედავად იმისა აღნიშნული განხორციელდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე თუ მას შემდეგ.

4.5 მიუხედავად 4.1. და 4.2. მუხლებისა, ბუქსირის მესაკუთრის პასუხისმგებლობა სიკვდილის ან ფიზიკური დაზიანებისთვის, რომელიც დაუდევრობის შედეგია, არ გამოირიცხება ან არ შეიზღუდება წინამდებარეთი.

5. ბუქსირის მესაკუთრე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ჩაანაცვლოს ერთი ან მეტი ბუქსირი ან ტენდერი სხვა ერთი ან მეტი ბუქსირითა და ტენდერით. ბუქსირის მესაკუთრე ნებისმიერ დროს (ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე თუ მას შემდეგ) უფლებამოსილია ხელშეკრულება გააფორმოს ბუქსირის სხვა მესაკუთრესთან (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ბუქსირის სხვა მესაკუთრე“) რათა დაიქირავოს ბუქსირის სხვა მესაკუთრის ბუქსირი, რა შემთხვევაშიც წინამდებარეთი შეთანხმებულია, რომ ბუქსირის მესაკუთრე იმოქმედებს (ან ჩაითვლება რომ იმოქმედა), როგორც დამქირავებლის აგენტი, მიუხედავად იმისა რომ ბუქსირის მესაკუთრეს დამატებით შეუძლია, ბუქსირის სხვა მესაკუთრის მიერ გამოხატულად ან ნაგულისხმევად უფლებამოსილება მინიჭებული, ბუქსირის სხვა მესაკუთრის სახელით იმოქმედოს ნებისმიერ დროს, მათ შორის გააფორმოს ხელშეკრულება დამქირავებელთან. იმ შემთხვევაში თუ ბუქსირის მესაკუთრე, როგორც დამქირავებლის აგენტი გააფორმებს ხელშეკრულებას ბუქსირის სხვა მესაკუთრესთან, წინამდებარეთი შეთანხმებულია, რომ ასეთი ხელშეკრულების მიმართ ასევე გამოიყენება ამ წესების პირობები, ისე რომ ბუქსირის მესაკუთრე ასევე შებოჭილია ამ პირობით და შესაძლებლობა აქვს, როგორც პრინციპალს სარჩელი აღძრას დამქირავებლის წინააღმდეგ და გამოიყენოს წინამდებარე პირობებით გამოხატულად დადგენილი თუ ნაგულისხმევი ყველა სარგებელი.

6. წინამდებარე წესებში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც ბუქსირის მესაკუთრის რომელიმე სამართლებრივი უფლებების შეზღუდვა, მათ შორის და არა მხოლოდ ნებისმიერი უფლება, რომელიც ბუქსირის მესაკუთრეს, მის მუშაკებს ან აგენტებს გააჩნიათ რათა მოთხოვნა დააყენონ სამაშველო ოპერაციის ანაზღაურებისათვის ან ბუქსირის ან ტენდერის მიერ გემებისათვის ან გემბანს გარეთ ნებისმიერი არაორდინარული მომსახურების გაწევის სპეციალური კომპენსაციისათვის. ამასთან, წინამდებარე პირობებმა არ უნდა შეზღუდოს, გამორიცხოს რაიმე ფორმით ნებისმიერი უფლება, რომელიც ბუქსირის მესაკუთრეს გააჩნია მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის.

7. ბუქსირის მესაკუთრე არცერთ შემთხვევაში იქნება პასუხისმგებელი ომის, აჯანყების, სამოქალაქო აქციების, ტერორისტული აქტების, საბოტაჟის, გაფიცვის, ლოკაუტის, დავების, შეფერხებების ან შრომითი დარღვევების (მიუხედავად იმისა ის მხარეს წარმოადგენს თუ არა) ან სხვა ნებისმიერი მოვლენის, ნებისმიერი ფორმის ვადაგადაცილების, მათ შორის გამოწვეულის ბუქსირის მესაკუთრის, მისი მუშაკების ან აგენტების დაუდევრობით.

8. ბუქსირის ან ტენდერის დამქირავებელი, რომელზეც ვრცელდება ეს პირობები, ვალდებულებას იღებს, რომ არ წამოიწყოს სამართლებრივი პროცესები ბუქსირის მესაკუთრის ან ბუქსირის სხვა მესაკუთრის მუშაკების და აგენტების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა ბუქსირი ან ტენდერი შეიცვალა ან დაქირავებულ იქნა სრულად ან ნაწილობრივ ქვეიჯარით მიეცა ბუქსირის ან ტენდერის მესაკუთრეს, ასეთი მუშაკის ან აგენტის დაუდევრობის ან ვალდებულების დარღვევის ან სხვა კანონდარღვევისთვის, ამ მუხლის მიზნებისთვის, დამქირავებელი უფლებამოსილია ასეთი პროცესი წამოიწყოს ბუქსირის ან ტენდერის მესაკუთრის წინააღმდეგ, ხოლო ბუქსირის ან ტენდერის მესაკუთრე ასეთ პასუხისმგებლობას კისრულობს მისი მუშაკების და აგენტების სასარგებლოდ.

9.

Classification: Public

9.1 ბუქსირის მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის ხელშეკრულება ჩამოყალიბდება და რეგულირდება ინგლისური სამართლის მიხედვით, და ბუქსირის მესაკუთრე და დამქირავებელი წინამდებარეთი აღიარებენ ინგლისის სასამართლოების ექსკლუზიურ იურისდიქციას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბუქსირის მესაკუთრის რეგისტრირებული ოფისი შოტლანდიაშია, მაშინ შეთანხმება ჩამოყალიბდება და რეგულირდება შოტლანდიური სამართლით და ბუქსირის მესაკუთრე და დამქირავებელი აღიარებენ შოტლანდიური სასამართლოს ექსკლუზიურ იურისდიქციას) გარდა 9.2. მუხლით განსაზღვრული შემთხვევისა.

9.2 9.1. მუხლში განსაზღვრულის გარდა არცერთ სხვა იურისდიქციაში არ დაიშვება სარჩელის აღძვრა იმ პირობით, რომ ბუქსირის მესაკუთრესა და დამქირავებელს ექნებათ არჩევანის საშუალება აღძრან პროცესი ნივთთან მიმართებით რათა მოიპოვონ ყადაღა ან სხვა მსგავსი სამართლებრივი უზრუნველყოფა მეორე მხარის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი გემის ან ქონების წინააღმდეგ, ნებისმიერ იურისდიქციაში სადაც ასეთი გემი ან ქონება იმყოფება.

Classification: Public